პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის
1920 წლის
3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 275 (20621) ✦ ხუთშაბათი, 30 ნოემბერი, 1989 წელი. ✦ ფასი 3 კაპ.

სესიის დღიური

28 ნოემბერს მუშაობა დაამთავრა სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს მეორე სესიამ. სხდომა გახსნა სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ა. ი. ლუკიანოვმა.

მუშაობის უკანასკნელ დღეს დეპუტატებმა მიიღეს დადგენილება ავღანეთში საბჭოთა ჯარების კონტინგენტის იმ ყოფილ სამხედრო მოსამსახურეთა ამნისტიის შესახებ, რომლებსაც ჩადენილი აქვთ სისხლის სამართლის დანაშაულობანი. იგი ძალაში შევა 15 დეკემბრიდან. სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს დაევალა ათი დღის ვადაში დაამტკიცოს ამნისტიის შესრულების წესი.

სსრ კავშირის უზენაესმა საბჭომ მიიღო მიმართვა საზღვარგარეთის ქვეყნების ყველა ხალხისადმი, პარლამენტების, მთავრობების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ყველა კეთილი ნების ადამიანისადმი, სადაც მოუწოდებს ყოველნაირად შეუწყონ ხელი ავღანეთში საბჭოთა ჯარების კონტინგენტის ყოფილ სამხედრო ტყვეთა სამშობლოში დაბრუნებას.

მიიღეს სსრ კავშირის კანონი „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 34-ე მუხლში ცვლილებების შეტანის შესახებ“. ეს მუხლი განსაზღვრავს წინასწარი გამოძიების დროს პატიმრობის ვადას და მისი გაგრძელების წესს.

პარლამენტარებმა მოისმინეს ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ როგორ მიმდინარეობს მუშაობა სოციალისტური საწარმოს შესახებ კანონის პროექტზე. მიიღეს რა იგი ცნობად, დეპუტატებმა დაავალეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს უზენაესი საბჭოს შესაბამის კომიტეტებთან და კომისიებთან ერთად მოამზადოს სოციალისტური საწარმოს შესახებ კანონის ერთიანი პროექტი და იგი განსახილველად წარუდგინოს უზენაესი საბჭოს სესიას.

დეპუტატებმა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ აირჩიეს ვ. ო. სუკალო.

„შვებულებების შესახებ“ სსრ კავშირის კანონის პროექტის თაობაზე მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ა. პ. ბირიუკოვამ. უზენაესმა საბჭომ მოიწონა კანონპროექტის ძირითადი დებულებები პირველი წაკითხვით, მთავრობას, შესაბამის კომიტეტებსა და კომისიებს დაავალა დაამუშაონ იგი გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით და გამოაქვეყნონ საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის.

საბოლოო სიტყვა წარმოთქვა ა. ი. ლუკიანოვმა.

(საქდესი).

კანონისაკენ მიმავალი გრძელი გზა

საქდესის საპარლამენტო კორესპონდენტები კრემლიდან გვატყობინებენ

იმის უარყოფას არ დავიწყებთ, რომ საბჭოთა პარლამენტს მრავალზე მრავალი საქმე აქვს. შემდგომის სესიაზე მათთვის დრო არ ეყოთ. და თუმცა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა მეორე ყრილობა სულ უფრო ახლოვდება — მისი მოწვევა დასახულია 12 დეკემბრისათვის — მაინც მიიღეს გადაწყვეტილება გააგრძელონ სესიის მუშაობა ორი დღით მაინც. ეს განაცხადა სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ **ა. ი. ლუკიანოვმა**, რომელმაც 27 ნოემბერს დილის სხდომა გახსნა.

სთხოვა რა უზენაესი საბჭოს წევრებს გატარებულიყვნენ რეგისტრაციაში, თავმჯდომარემ მათ შეახსენა, რომ აქვთ უსიამოვნო შეფერხება პარლამენტის მუშაობაში წინა კვირის დამლევს, როცა კვორუმის უქონლობის გამო კენჭი ვერ უყარეს პრესის შესახებ კანონის პროექტს. ამ გარემოებას მოჰყვა დეპეშების ნაკადი, რომლებშიც ამომრჩევლებმა გამოთქვეს საფუძვლიანი აღშფოთება იმის გამო, რომ დეპუტატები ცუდად ესწრებიან პლენარულ სხდომებს.

ახალი კვირის დაწყება იმით მოუწიათ, რომ გარკვეულიყვნენ დატოვებულ „მემკვიდრეობაში“ და უწინარეს ყოვლისა დაესრულებინათ პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა შესახებ კანონის პროექტის განხილვა და კენჭი ეყარათ მისთვის. ამ საკითხზე მოკლე სიტყვა წარმოთქვა დეპუტატმა **გ. ხ. შახნაზაროვმა**. მან აღნიშნა, რომ ყველა შემოსული შენიშვნა ძალიან ადვილად ერთიანდება სამ ძირითად ჯგუფად. პირველს განეკუთვნება ისინი, რომელთა გათვალისწინება შედარებით მარტივად შეიძლება უკვე ახლა. მიზანშეწონილია, მაგალითად, კანონში ჩაიწეროს ვენის შეხვედრის ფორმულა, რომელიც გაიმეორებს ადამიანის უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტების ფორმულას, სახელდობრ: უფლებას ეძებოს, მიიღოს, გაიმეოროს და გაავრცელოს ინფორმაცია. კარგად უნდა ვიფიქროთ ასეთ წინადადებაზე: საჭიროა თუ არა იმ გამოცემების ხელახალი რეგისტრაცია, რომლებიც დღემდე გამოდიოდა. უნდა ვიფიქროთ საზოგადოებრივ საწყისებზე მოქმედ მუშა კორესპონდენტთა უფლებების დაცვაზეც.

უფრო რთულად არის შენიშვნების ორი სხვა ჯგუფის საქმე, ხაზგასმით აღნიშნა ორატორმა. ზოგი შენიშვნა იმათგან გამომდინარეობს, ვინც დაჟინებით მოითხოვს, რომ განმტკიცდეს და გაძლიერდეს გამომცემელთა და დამფუძნებელთა უფლებები. სხვებს სურთ კიდევ უფრო მტკიცედ დაიცვან ჟურნალისტთა უფლებები. შესაძლებლად ვერ წარმოგვიდგენია ვიპოვოთ უბრალო გადაწყვეტა მეექვსე მუხლის გამოც. მართლაც, შეიძლება თუ არა ცალკეულმა მოქალაქემ შექმნას ორგანო. ამ საკითხზე ჯერ კიდევ მოგვიწევს ტვინის ჭყლეტა, და რა თქმა უნდა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მთავარი მომხმარებლის — მკითხველის, მსმენელის, მაყურებლის აზრის გათვალისწინება. ცხადია ერთი რამ: უნდა ვეძებოთ ინტერესთა გონივრული ბალანსი. ამასთან დაკავშირებით ორატორმა წამოაყენა წინადადება, რომ უზენაესმა საბჭომ თავის სამ კომიტეტს — კანონმდებლობის, კანონიერებისა და მართლწესრიგის საკითხთა კომიტეტს, საჯაროობის, მოქალაქეთა უფლებებისა და მიმართვების საკითხთა კომიტეტსა და საერთაშორისო საქმეთა კომიტეტს დაავალოს, რომ უახლოეს ხანში დახვეწონ კანონის პროექტი გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით, რამდენადაც ეს შესაძლებელია. შემდეგ გამოქვეყნდეს ეს დოკუმენტი და ჩაითვალოს, რომ მისი პირველი წაკითხვა განხორციელდა.

მაგრამ დეპუტატებმა შეიტანეს ცვლილება შემოთავაზებულ წესში, რომელიც წაიკითხა კიდეც თავმჯდომარემ: მოიწონონ პირველი წაკითხვით პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა შესახებ კანონის ძირითადი დებულებანი, ჩაითვალოს მიზანშეწონილად გამოქვეყნდეს იგი ფართო განხილვისათვის, ამასთან მისი შემდგომი დამუშავება დაევალოთ სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს შესაბამის კომიტეტებს. ასეთი ფორმულირებით მიიღეს დეპუტატებმა დადგენილება.

ოთხშაბათს დაიწყო პარლამენტის არდადეგები. ამის გამო დარჩენილ დროში დეპუტატებმა გადაწყვიტეს განიხილონ ყველაზე საჭირბოროტო საკითხები. მათ შორისაა ქვეყნის ეკოლოგიური გაჯანსაღების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ დადგენილების პროექტი.

მდგომარეობა სერიოზულია, ზოგან კი კრიზისული ვითარება შეიქმნა. მიღებული ზომების მიუხედავად, ქვეყნის ეკოლოგიური გაჯანსაღებისათვის მუშაობა არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს.

არალის ზღვის რეგიონში სიტუაცია პრაქტიკულად აღარ ემორჩილება ადამიანის კონტროლს. არალისპირეთი ეკოლოგიური უბედურების ზონა გახდა. კვლავ დაძაბული ვითარებაა ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურში მომხდარი ავარიის შედეგად დაზარალებულ რაიონებში. ძლიერდება მოსახლეობის შეშფოთება სემიპალატინსკის ბირთვული იარაღის გამოცდის პოლიგონის რეგიონში. ეკოლოგიური კრიზისის ზღვარზეა ყალმუხეთი, დნეპრისპირეთი, დნესტრისპირეთი, დონბასი, ურალი, კუზბასი, ვოლგის, ლადოგის ტბის, შავი, აზოვის, კასპიისა და ბალტიის ზღვების და მთელი რიგი სხვა რეგიონების აუზები.

ას სამ ქალაქში, რომელთა მოსახლეობის საერთო რიცხვი დაახლოებით 50 მილიონია, ზღვრულად დასაშვებს ათჯერ და მეტჯერ აღემატება მავნე ნივთიერებათა კონცენტრაცია ჰაერში.

იზრდება ტოქსიკური სამრეწველო ნარჩენების მოცულობა, რომელთა მეტი ნაწილი იყრება მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების საყრელებზე. წყლის წყაროების ორი მესამედის მდგომარეობა არ შეესაბამება ნორმატივებს. 600 ქალაქში უზრუნველყოფილი არ არის ჩამდინარე წყლების ხარისხობრივი გაწმენდა. ოდესღაც მილიონობით ჰექტარი ნაყოფიერი მიწები გამოსულია სასოფლო-სამეურნეო ბრუნვიდან სამთო სამუშაოების, ეროზიის, შეტბორვის, დამლაშებისა და გაუდაბნოების შედეგად.

უკანასკნელ ხანს ამაზე ბევრს ლაპარაკობენ, ეს შეშფოთება აშკარად აისახა ცხარე დისკუსიაში, ბრძოლაში ამა თუ იმ რეგიონის, გეოგრაფიული დასახელების დადგენილებაში შეტანისათვის, რომლებიც ყველაზე დიდ ყურადღებას მოითხოვენ.

მაგრამ, სამწუხაროდ კეთილგანზრახვას ყოველთვის როდი მოაქვს სასურველი ნაყოფი. და ამ შემთხვევაში დაუპირისპირდა ადგილობრივი ინტერესები სახელმწიფო აზროვნებას. ამიტომ, როგორც ჩანს, ყველაზე სამართლიანად გაისმა დილის სხდომის თავმჯდომარის ა. ი. ლუკიანოვის შენიშვნა იმის შესახებ, რომ მეტისმეტად კონკრეტული წინადადებანი შეასუსტებენ დადგენილების ქმედითობას, შეავიწროვებენ მისი გამოყენების ფარგლებს. მას დაეთანხმნენ ეკოლოგიისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების საკითხთა კომიტეტის წევრები. როცა მთავრობა შეიმუშავებს ეკოლოგიის სახელმწიფო პროგრამას, მასში შეიძლება დეპუტატთა ყველა კონკრეტული წინადადების გათვალისწინება. კონტროლი კი მისი შემუშავებისა და შესრულებისადმი ეკისრება უზენაესი საბჭოს შესაბამის კომიტეტს. ეს წინადადება მიიღეს კიდეც დეპუტატებმა.

დეპუტატები კვლავ დაუბრუნდნენ კანონპროექტების განხილვას, რომლებიც მათ საქმიანობას ეხება. წინა კვირაში მათ ვერ გამოიტანეს ერთი აზრი სახალხო დეპუტატთა სტატუსისა და გაწვევის წესის საკითხებზე, დაავალეს შესაბამის კომიტეტებს კიდევ ემუშავათ დოკუმენტებზე. და აი დღეს სახალხო დეპუტატთა საბჭოების მუშაობის, მმართველობისა და თვითმმართველობის განვითარების საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ **ნ. დ. პივოვაროვმა** და კანონმდებლობის, კანონიერებისა და მართლწესრიგის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ **ი. ხ. კალმიკოვმა** პარლამენტს დაწვრილებით მოახსენეს სამუშაო ჯგუფების საქმიანობის შესახებ, რომლებმაც განიხილეს დეპუტატთა მიერ შემოტანილი ყველა შენიშვნა და გამოთქვეს თავიანთი დასკვნები.

გადაწყდა კამათი აღარ განეახლებინათ, რადგან პროექტებს ჯერ კიდევ განიხილავენ მომავალ ყრილობაზე. მაგრამ დეპუტატებს ბევრი საკითხი და დაზუსტება დაებადათ. დისკუსიის მიმდინარეობამ ცხადყო, რომ მათი მოვალეობებისა და უფლებების ნუსხაში წვრილმანები არ არის. დეპუტატები ცდილობდნენ ზედმიწევნით გაეთვალისწინებინათ ყველა შესაძლებლობა, რომლებიც საშუალებას მისცემენ უფრო ზუსტად და პასუხისმგებლურად ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობებს ხალხის წინაშე. ორატორებმა დააზუსტეს აგრეთვე პუნქტები, რომელ-

(დასასრული მე-2 გვ.).

სახელმწიფო ვიზიტად

29 ნოემბერს მოსკოვიდან იტალიის რესპუბლიკის პრეზიდენტისა და მთავრობის მიწვევით რომში სახელმწიფო ვიზიტად გაემგზავრა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე მ. ს. გორბაჩოვი.

მ. ს. გორბაჩოვთან ერთად გაემგზავრნენ მისი თანმხლები პირნი — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ე. ა. შევარდნაძე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ნ. იაკოვლევი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ი. ა. სიტარიანი, მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ვ. ტ. საიკინი.

აეროპორტში მ. ს. გორბაჩოვი გააცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებმა ლ. ნ. ზაიკოვმა, ვ. ა. კრიუჩკოვმა, ი. კ. ლიგაჩოვმა, ი. დ. მასლიუკოვმა, ვ. ა. მედვედევმა, ნ. ი. რიჟკოვმა, ნ. ნ. სლიუნკოვმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატებმა ა. ი. ლუკიანოვმა, ე. მ. პრიმაკოვმა, ბ. კ. პუგომ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნებმა ო. დ. ბაკლანოვმა და ა. ნ. გირენკომ, სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარემ რ. ნ. ნიშანოვმა.

გამცილებელთა შორის იყვნენ დროებითი საქმეთა რწმუნებულნი: იტალიისა სსრ კავშირში — ფ. ძეცა და მალტისა სსრ კავშირში — ა. მუსკატი.

იმავე დღეს მ. ს. გორბაჩოვი და მისი თანმხლები პირები იტალიის დედაქალაქში ჩამოვიდნენ. ორი ქვეყნის სახელმწიფო დროშებით მორთულ ფიუმიჩინოს აეროპორტში მას დახვდნენ იტალიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ჯ. ანდრეოტი, იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრი ჯ. დე მიქელისი. დამხვდურთა შორის იყვნენ იტალიის ელჩი სსრ კავშირში ფ. სალეო და სსრ კავშირის ელჩი იტალიაში ნ. მ. ლუნკოვი.

(საქდესი).

აეროდრომზე გაცილების დროს.

საქდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დადგენილება

ეროვნულ საჯარისო ფორმირებათა აღდგენისა და რესპუბლიკის წვევამდელთა მიერ სამხედრო სამსახურის საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მოხდის საკითხებზე წინადადებათა შემმუშავებელი სამუშაო ჯგუფის ინფორმაციის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. მიღებულ იქნეს ცნობად ეროვნულ საჯარისო ფორმირებათა აღდგენისა და რესპუბლიკის წვევამდელთა მიერ სამხედრო სამსახურის საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მოხდის საკითხებზე წინადადებათა შემმუშავებელი სამუშაო ჯგუფის ინფორმაცია.

2. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს წინაშე საკანონმდებლო ინიციატივის წესით აღიძრას სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში ქართულ ეროვნულ საჯარისო ფორმირებათა აღდგენის საკითხი.

3. დაისვას საკითხი სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს წინაშე:

—ორი შენაერთის სახით (მოტომსროლელთა და სამთომსროლელთა დივიზიები) ქართული საჯარისო ფორმირებების აღდგენის შესახებ, რომელთა ორგანიზაციულ სტრუქტურასა და აღჭურვის ტექნიკურ მხარეს რესპუბლიკის შესაბამის უწყებებთან შეთანხმებით შეიმუშავებს და განსაზღვრავს სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტრო;

— საბჭოთა არმიის ოფიცერთა ქართული ეროვნული კადრების მოსამზადებლად თბილისში მრავალპროფილიანი უმაღლესი სამხედრო სასწავლებლის გახსნის თაობაზე (ყოფილი თბილისის სამხედრო სასწავლებლის ბაზაზე);

— საქართველოს სს რესპუბლიკაში მუდმივად მცხოვრები წვევამდელების ძირითადი ნაწილის მიერ სავალდებულო სამხედრო სამსახურის (სურვილისამებრ) რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოხდის შესახებ;

— ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სასაზღვრო და შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარების ძირითადად ადგილობრივი ახალგაზრდობით დაკომპლექტების თაობაზე.

4. დაისვას საკითხი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს წინაშე, რომ საქართველოს სს რესპუბლიკაში შექმნილი რთული დემოგრაფიული და სოციალური ვითარების გამო „საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ“ სსრ კავშირის კანონში გათვალისწინებულ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

სამხედრო სავალდებულო გაწვევას არ ექვემდებარებიან საქართველოს სს რესპუბლიკის მოქალაქეები, რომელთაც:

ა) ჰყავთ ოჯახი და ერთი შვილი;

ბ) ჰყავთ მხოლოდ დედა ან მამა,

რომელნიც:

გ) ფლობენ რესპუბლიკისათვის დეფიციტურ პროფესიებს (ამ პროფესიების ნუსხას ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო);

დ) არიან დედისერთა ვაჟები.

5. დაისვას საკითხი საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს წინაშე, რომ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის შემუშავებისას სათანადო შესწორებებით და რეალური ვითარების გათვალისწინებით აღდგენილ იქნეს მუხლები ეროვნულ საჯარისო ფორმირებათა შესახებ, რომლებიც მოქმედებდა 1922 წლისა და 1937 წლის საქართველოს სსრ კონსტიტუციებში.

6. შეიქმნას საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს საბჭოთა არმიის რიგებში საქართველოს სს რესპუბლიკიდან გაწვეულთა შორის მუშაობის კომისია.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. გუმბარიძე.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ვ. კვარაცხელია.

თბილისი. 1989 წლის 18 ნოემბერი.

მიღებულია დადგენილებანი

სსრ კავშირის უზენაესმა საბჭომ 28 ნოემბერს გამართულ სხდომაზე განიხილა მთიანი ყარაბაღის ავტონომიურ ოლქში ვითარების ნორმალიზაციის ღონისძიებათა საკითხი. განხილვა იმით დამთავრდა, რომ ხმების დიდი უმრავლესობით მიიღეს სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დადგენილებანი.

მოისმინეს აგრეთვე ინფორმაცია საბჭოთა გერმანელებისა და ყირიმელი თათრების პრობლემებზე სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს კომისიათა მუშაობის შესახებ და მოიწონეს მათი მუშაობის შედეგები.

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დადგენილებანი განხილვის შედეგების მიხედვით ცალ-ცალკე ქვეყნდება.

(საქდესი).

საკონსტიტუციო კომისიის სხდომა

27 ნოემბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მ. ს. გორბაჩოვის თავმჯდომარეობით გაიმართა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის მიერ შექმნილი საკონსტიტუციო კომისიის სხდომა.

ამხ. მ. ს. გორბაჩოვის მოხსენების გამო კომისიამ განიხილა სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) კონცეფციისადმი მიდგომასთან დაკავშირებული საკითხები, განსაზღვრა მთელი მუშაობის ორგანიზაციის წესი.

განხილვაში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატები: ა.—რ. ხ. ვეზიროვი, ი. ნ. გრიაზინი, ა. დ. სახაროვი, ი. მ. ბოგდანოვი, ს. გ. არუთინიანი, მ. ი. უმარხოჯაევი, კ. დ. ლუბენჩენკო, კ. ვ. მეჩაევი, ი. ხ. კალმიკოვი, ა. ა. ლიხანოვი, დ. ა. ქერიმოვი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორი ბ. ნ. ტოპორნინი.

მიზანშეწონილად ცნეს შექმნან სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის მოსამზადებელი სამუშაო ჯგუფი. (საქდესი).

სამი დღე ფინეთში

გამოვიდა ბროშურა „მ. ს. გორბაჩოვის ვიზიტი ფინეთში. 1989 წლის 25-27 ოქტომბერი“. ბროშურაში შევიდა მეგობარ ქვეყანაში საბჭოთა ხელმძღვანელის ყოფნის დაწვრილებითი ანგარიშები, ვიზიტის დროს ხელმოწერილი საბჭოთა კავშირ-ფინეთის დოკუმენტების ტექსტები და სხვა მასალები.

ბროშურა გამოუშვა პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ. იგი დაბეჭდილია „კრასნი პროლეტარის“ სტამბაში.

(საქდესი).

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დადგენილება

მთიანი ყარაბაღის ავტონომიურ ოლქში ვითარების ნორმალიზაციის ღონისძიებათა შესახებ

მთიან ყარაბაღში და მის გარშემო ვითარების სტაბილიზაციის საჭიროების, შემდგომი ძალადობის, მათ შორის ყოველგვარი ეკონომიკური სანქციების დაუშვებლობის გათვალისწინებით, სსრ კავშირის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. ცნობად იქნეს მიღებული აზერბაიჯანის სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის განცხადება იმის შესახებ, რომ რესპუბლიკის ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოები განახორციელებენ გადამწყვეტ და გადაუდებელ ღონისძიებებს, რათა მოეხსნას ბლოკადა რკინიგზებსა და საავტომობილო გზებს აზერბაიჯანის სსრ ტერიტორიაზე და უზრუნველყოფილ იქნეს შეუფერხებელი ტვირთზიდვა.

2. მოწონებულ იქნეს სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დასკვნები და წინადადებანი აზერბაიჯანის სსრ მთიანი ყარაბაღის ავტონომიურ ოლქში ვითარების ნორმალიზაციის შესახებ.

3. მთიანი ყარაბაღის ავტონომიურ ოლქთან პარიტეტულ საწყისებზე შეიქმნას რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი და აღდგეს მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის მეოცე მოწვევის სახალხო დეპუტატთა საბჭოსა და მისი აღმასრულებელი კომიტეტის საქმიანობა, რომელიც შეჩერებული იყო სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 12 იანვრის ბრძანებულებით.

ავტონომიური ოლქის სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების აღდგენის დროს დაცულ იქნეს მოსახლეობის სომხური და აზერბაიჯანული ნაწილის წარმომადგენლობა მათი რაოდენობის პროპორციულად.

4. რეკომენდაცია მიეცეს აზერბაიჯანის სსრ უზენაეს საბჭოს უმოკლეს ვადაში განახორციელოს საკანონმდებლო ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ რეალური ავტონომიის სტატუსის ამაღლებას, მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის სომეხი მოსახლეობის ქმედით გარანტიებს, კანონიერების, მოქალაქეთა სიცოცხლისა და უშიშროების დაცვას, ყველა წამოჭრილი პრობლემის კონსტიტუციურ გადაწყვეტას.

მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის ხელისუფლების აღდგენილი ორგანოების მონაწილეობით ორი თვის ვადაში შეიმუშაოს და მიიღოს ახალი კანონი მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის სტატუსის შესახებ, რომელიც მთიანი ყარაბაღისათვის უზრუნველყოფს სრულუფლებიან განვითარებას სახელმწიფო, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა სფეროში თვითმმართველობის, თვითდაფინანსების, ტერიტორიული სამეურნეო ანგარიშის, ეკონომიკური და კულტურული კავშირურთიერთობის თავისუფლების საფუძველზე.

5. ავტონომიური ოლქის ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების აღდგენის პირობებში მიზანშეუწონლად ჩაითვალოს მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის განსაკუთრებული მმართველობის კომიტეტის შემდგომი შენარჩუნება.

მთიანი ყარაბაღის ავტონომიურ ოლქში ვითარების სტაბილიზაციის ღონისძიებათა განხორციელებაში კონტროლისა და დახმარების გაწევისათვის შეიქმნას საკავშირო საკონტროლო-სამეთვალყურეო კომისია და დაუქვემდებარდეს იგი სსრ კავშირის უზენაეს საბჭოს.

6. საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაციის ნორმალიზაციამდე, მოსახლეობის უშიშროების დაცვისა და გარანტიის მიზნით შენარჩუნებულ იქნეს მთიანი ყარაბაღის ავტონომიურ ოლქში სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების შესაბამისი კონტინგენტი და დაექვემდებაროს იგი საკავშირო საკონტროლო-სამეთვალყურეო კომისიას.

7. აზერბაიჯანის სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ და მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი, რათა არ დაუშვან ოლქში დემოგრაფიული სიტუაციის შეცვლა, რომელიც დაარღვევს შექმნილ ეროვნულ შემადგენლობას. ლტოლვილთა პრობლემების მთელი კომპლექსის გადაჭრისათვის შეიქმნას სპეციალური კომისია.

8. რეკომენდაცია მიეცეთ სომხეთის სსრ და აზერბაიჯანის სსრ უზენაეს საბჭოებს ყველაფერი იღონონ ორი ხალხის ურთიერთობის ნორმალიზაციისათვის, ნდობისა და თანამშრომლობის ვითარების აღდგენისათვის, ნორმალური ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობის მოგვარებისათვის.

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
მ. გორბაჩოვი.

მოსკოვი, კრემლი, 1989 წლის 28 ნოემბერი.

საბჭოთა კავშირის ქალთა მიმართვა ამომრჩევლებისადმი

საბჭოთა კავშირის ქალთა კომიტეტმა ღია წერილით მიმართა ყველა ამომრჩეველს, იმათ, ვინც მონაწილეობას მიიღებს მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი საბჭოების, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების არჩევნებში.

ნამდვილად დემოკრატიულ საბჭოებს, ნათქვამია მასში, ვუკავშირებთ გარდაქმნის მომავალს, ჩვენს ბედს, ჩვენი შვილების ბედს, რეალურ ცვლილებებს ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში, სიმშვიდესა და სტაბილურობას. ამიტომ ჩვენთვის სულერთი არ არის, თუ როგორი იქნება დეპუტატთა ახალი კორპუსი. გვესმის, რაოდენ საჭიროა, რომ ჩვენი ხმები მივცეთ იმათ, ვინც კარგად იცნობს ცხოვრებას, შეუძლია გადაჭრას საჭირბოროტო პრობლემები, გაიგოს მოსახლეობის სხვადასხვა ფენის საჭიროებანი, განიმსჭვალოს სხვისი ტკივილით.

ნამდვილად დემოკრატიული, სახალხო საბჭოები იქნება იმ შემთხვევაში, თუ აქ სამართლიანად იქნებიან წარმოდგენილი ქალები. ისინი ხომ ქვეყნის მოსახლეობის ნახევარზე მეტს, საზოგადოებრივ წარმოებაში დასაქმებულთა ნახევარს შეადგენენ.

ქალთა მონაწილეობა ადგილობრივ საბჭოებში შესაძლებლობას მოგვცემს გავამდიდროთ მათი მუშაობა აწონ-დაწონილი მიდგომით საზოგადოების ყველაზე სერიოზული პრობლემების გადაჭრისადმი, უფრო სრულად გავითვალისწინოთ ყველა მიღებული გადაწყვეტილების სოციალური შედეგები.

მაგრამ დღეს, ნათქვამია შემდეგ წერილში, შეწუხებული ვართ სახალხო დეპუტატობის კანდიდატებად ქალთა დასახელების გამო. განვლილი არჩევნების შედეგებმა ცხადყო, თუ რა არსებითად შემცირდა მათი რიცხვი ხელისუფლების უმაღლეს ეშელონში. ჩვენი მიმართვა სულაც არ არის მოწოდება, რადაც უნდა დაგვიჯდეს მივაღწიოთ ქალთა მონაწილეობას საბჭოების მუშაობაში. გვესმის, რაოდენ საჭიროა, რომ დეპუტატთა შორის იყვნენ კომპეტენტური, ბრძენი, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ლიდერი ქალები. ისინი არიან. მაგრამ მათ სჭირდებათ თქვენი რეალური მხარდაჭერა და დახმარება.

საბჭოთა კავშირის ქალთა კომიტეტი მიმართავს ქალთა საბჭოებს, რომლებმაც სხვებზე კარგად იციან, თუ ქალთაგან ვის შეუძლია ღირსეულად წარმოადგინოს ხალხის ინტერესებს მთავრობის ორგანოებში, ადგილობრივ საბჭოებში. დაასახელეთ ისინი დეპუტატობის კანდიდატებად, ნათქვამია მიმართვაში, იმოქმედეთ გაბედულად და აქტიურად, იყავით მათთან ერთად წინასაარჩევნო ბრძოლის ყველა ეტაპზე. მხარი დაუჭირეთ იმ კანდიდატებს, ვისი პროგრამები მიზნად ისახავს საზოგადოების რეალურ განახლებას, ოჯახების სოციალური დაცულობის განმტკიცებას, ქალთა, ხანდაზმულთა, ბავშვთა მდგომარეობის გაუმჯობესებას.

შეგნებული გვაქვს, თუ რაოდენ ბევრი რამ არის დამოკიდებული მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე. ამიტომ მოგმართავთ რადიოს, ტელევიზიის, პრესის მუშაკებს. თქვენ ხელგეწიფებათ საზოგადოების ყურადღება მიაპყროთ პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობის საკითხს, დაამსხვრიოთ საზოგადოებრივ შეგნებაში დამკვიდრებული სტერეოტიპი, ღირსეულად წარმოადგინოთ ის ქალები, რომლებსაც დეპუტატობის კანდიდატებად დაასახელებენ.

ჩვენი სიტყვა მიმართულია ქალებისადმი, რომლებიც დასახელებული იქნებიან კენჭისყრისათვის. უკან ნუ დაიხევთ წინასაარჩევნო ბრძოლაში, გაბედულად მიიღეთ მონაწილეობა დისკუსიებში, თქვენს ამომრჩევლებს გააცანით თქვენი აზრები, პროგრამები, წუხილი ქვეყნის ბედისათვის.

იმით, რომ ვმონაწილეობთ არჩევნებში, ვასახელებთ ღირსეულ კანდიდატებს, ჩვენ, ხაზგასმულია მიმართვაში, მხარს ვუჭერთ საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებას, სახალხო დეპუტატთა ყველა საბჭოს გაძლიერებას, განახლებულ სოციალიზმს.

(საქდესი).

ნაკარნახევია ადამიანისათვის ზრუნვით

ა. პ. ბირიუკოვას მოხსენება სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს სესიაზე „შვებულებების შესახებ" სსრ კავშირის კანონის პროექტის თაობაზე

პატივცემულო ამხანაგო სახალხო დეპუტატებო!

თქვენს განსახილველად წარმოდგენილი „შვებულებების შესახებ" სსრ კავშირის კანონის პროექტი, საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის გამოტანილი საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ კანონპროექტთან ერთად, მეორე საკანონმდებლო აქტია, რომელმაც უნდა შექმნას სამართლებრივი საფუძველი ნამდვილად ძლიერი სოციალური პოლიტიკისა, გარდაქმნის ჰუმანისტურ არსს რომ გამოხატავს.

ამთავითვე მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ საქმე ცალკეული ცვლილებების შეტანას, შვებულებათა ოდენობის გადასინჯვას როდი ეხება. ჩვენს ქვეყანაში შვებულებების შესახებ ამ პირველი კანონის მიზანია შექმნას პრინციპულად ახალი ორგანიზაციული, ეკონომიკური და იურიდიული მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს პირობებს საბჭოთა ადამიანების შრომისუნარიანობის აღდგენის, სრულფასოვანი დასვენების და ჯანმრთელობის განმტკიცებისათვის.

კანონპროექტზე მუშაობაში ფართოდ იყვნენ ჩაბმული სამეცნიერო ძალები, სამინისტროებისა და უწყებების, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, ცალკეული სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასკომების მუშაკები, სახალხო მეურნეობის სპეციალისტები. პროექტის შექმნის ყველა ეტაპზე აქტიურად მონაწილეობდნენ პროფკავშირები. კანონპროექტი განიხილეს მრავალ შრომით კოლექტივში და ძირითადად მხარი დაუჭირეს მას.

ძალზე გულმოდგინედ არის გათვალისწინებული წინადადებანი შვებულებათა სისტემის სრულყოფის შესახებ, რომლებიც გამოითქვა ამომრჩევლებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების განაწესებში სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების დროს, გაანალიზებულია ამ დარგში მოწინავე მსოფლიო გამოცდილება.

შვებულებების მოქმედი სისტემა და მისი გარდაქმნის პრინციპები

კანონის პროექტი ეხება თითოეული ოჯახის, თითოეული მშრომელის ინტერესებს. მრავალრიცხოვან წერილებში, მიმართვებში მოქალაქენი დაჟინებით სვამენ შვებულებების მიცემაში სოციალური სამართლიანობის დაცვის, ჩამოყალიბებული პრაქტიკის მოწესრიგების აუცილებლობის, ადამიანთა გაზრდილ სოციალურ მოთხოვნილებებთან და ქვეყნის ახალ შესაძლებლობებთან შვებულებების სისტემის შესაბამისობაში მოყვანის საკითხებს.

მართლაც, ამხანაგებო, ჩვენთან ჩამოყალიბდა შვებულებების დახლართული, ხშირად წინააღმდეგობრივი და მშრომელებისათვის გაუგებარი სისტემა. დღეს ჩვენ ლამის ერთადერთი სახელმწიფო ვართ, სადაც დღემდე ერთიანი კანონმდებლობის ნაცვლად მოქმედებს 100-მდე საფუძველი, რომლებითაც გვეძლევა შვებულება. ზოგიერთი ნორმა ჯერ კიდევ 1926-1930 წლებში იყო მიღებული.

ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი, რომელიც მოითხოვს შვებულებების შესახებ ახალი კანონის მიღებას, არის უსაფუძვლო განსხვავებანი მათს ხანგრძლივობაში. არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ ახლა ერთნაირი კვალიფიკაციისა და მუშაობის სტაჟის, შრომის მსგავსი პირობების მქონე, მაგრამ სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში დასაქმებულ მუშაკებს აქვთ, როგორც წესი, შვებულების სხვადასხვა ხანგრძლივობა. ზოგჯერ ეს განსხვავება ერთ-ორ კვირას აღწევს.

მეორე მიზეზი ის არის, რომ დღეისათვის დადგენილი 15 დღის შვებულების მინიმალური ხანგრძლივობა არ შეესაბამება შრომის ინტენსიფიკაციის ახლანდელ დონეს, არ უზრუნველყოფს მუშაკის შრომისუნარიანობის სრულ აღდგენას.

განსაკუთრებით უსამართლოა, რომ მინიმალური შვებულების მქონე 22 მილიონი მუშიდან და მოსამსახურიდან 13 მილიონს შეადგენენ სახალხო მეურნეობის საწარმოო დარგების მუშები. არადა, უწინარესად ხომ მათი შრომითი უკუგების ზრდას ვუკავშირებთ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური პროგრესის დაჩქარების იმედებს.

მაშ, რა პრინციპები დაედო საფუძვლად წარმოდგენილ პროექტს?

პირველი — მედიცინის მეცნიერების თანამედროვე რეკომენდაციებთან შვებულებების ხანგრძლივობის შესაბამისობაში მოყვანა. ფიზიოლოგთა მონაწილეობით სხვადასხვა ასაკობრივი და პროფესიული ჯგუფის შრომისუნარიანობაზე ყოველწლიური დასვენების ხანგრძლივობის გავლენის ანალიზმა მიგვიყვანა დასკვნამდე: ნორმალური პირობებისა და შრომის საშუალო ინტენსიურობის დროს სრული სოციალურ-ფსიქოლოგიური რეაბილიტაციისათვის საჭიროა სულ ცოტა 3 კვირის ხანგრძლივობის ყოველწლიური შვებულება.

ყოველწლიური მინიმალური ძირითადი შრომითი შვებულების სწორედ ეს ნორმა, რომელიც სახელმწიფოს მიერ გარანტირებულია უკლებლივ ყველა მშრომელისათვის, არის დამკვიდრებული კანონპროექტში. ეს სავსებით შეესაბამება შვებულებების შესახებ საერთაშორისო კონვენციას.

მეორე, შვებულებების სისტემას საყოველთაო ხასიათი ენიჭება. სახელმწიფო უზრუნველყოფს ყველა მშრომელის, მათი დასაქმების სფეროს მიუხედავად, მათ შორის მუშების, მოსამსახურეების, კოლმეურნეების, საიჯარო კოლექტივების, კოოპერატივების წევრებისა და ინდივიდუალურ შრომით საქმიანობაში დასაქმებული პირების ყოველწლიური ანაზღაურებული შვებულების უფლებას.

თანაც გასული წლების პრაქტიკისაგან განსხვავებით კანონპროექტში თანამიმდევრულად ხორციელდება პრინციპი: შვებულების თანაბარი ხანგრძლივობა — შრომის ერთნაირ პირობებში თანაბარი შრომითი წვლილისათვის.

მესამე, შემოღებულია ორი სახეობის შვებულება — შრომითი და სოციალური. თითოეული მათგანისათვის შემუშავებულია მიცემისა და ანაზღაურების ადეკვატური მექანიზმი.

მეოთხე, მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენიტეტის განმტკიცების, საწარმოთა დამოუკიდებლობის გაძლიერების პირობებში კანონპროექტი ითვალისწინებს შვებულებების სისტემის დემოკრატიზაციის ღონისძიებებს და მთელი რიგი საკითხების გადაჭრის უფლებას გადასცემს ცენტრიდან რესპუბლიკებს, ადგილებსა და შრომით კოლექტივებს.

მეხუთე, ძალზე მნიშვნელოვანია, რომ კანონპროექტის ნორმები, როგორც წესი, პირდაპირი მოქმედებისაა. ისინი არ მოითხოვს დამატებითი საკანონმდებლო აქტებისა და ნორმატიული დოკუმენტების მიღებას, რაც გამორიცხავს ვოლუნტარიზმს მათს გაგებაში.

არსებითად იცვლება შვებულებების გამოანგარიშების წესიც.

მოქმედი წესებით მუშაობის გრაფიკის (ხუთი —, ექვსდღიანი ან სხვა სამუშაო კვირა) მიუხედავად შვებულების გამოანგარიშებისას მიიღება პირობა, რომ ყველა მუშაობს კვირაში 6 დღეს. და ეს გამუდმებით იწვევს იმათ გაოცებას, ვინც შრომობს ხუთდღიანი ან სრიალა, უწყვეტი გრაფიკით. რატომ ითვლება შაბათი სამუშაოდ დღედ, როცა ისინი ამ დღეს ისვენებენ?

იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ ამჟამად არსებული სირთულეები და გაოცებული კითხვები შვებულებების გაანგარიშებაში, აგრეთვე მხედველობაში ვიღებთ რა ქვეყნების უმრავლესობის პრაქტიკას, შემოთავაზებულია ამიერიდან გადავიდეთ კალენდარული დღეებით შვებულების მიცემაზე. ეს უზრუნველყოფს ერთიან მიდგომას შვებულებების გამოანგარიშებისადმი მუშაობის გამოყენებული რეჟიმებისა და გრაფიკების მიუხედავად. და არავითარ შემთხვევაში არ შელახავს მშრომელთა უფლებებს.

მაგალითად, ახლა სამი წლის სტაჟის მქონე ხარატს აქვს 15 სამუშაო დღის შვებულების უფლება მისი მუშაობის გრაფიკის (ხუთ თუ ექვსდღიანი სამუშაო კვირა) მიუხედავად. კალენდარული გამოანგარიშებით ეს არის 17 დღე კვირა დღეების ჩათვლით. კანონის პროექტით მას ერგება თავდაპირველი შვებულება 21 კალენდარული დღის ოდენობით, ესე იგი 4 კალენდარული დღით მეტი. სტაჟის ზრდის კვალობაზე მას მოემატება შვებულებაც.

ასეთია ძირითადი პრინციპები, რომლებითაც ხელმძღვანელობდნენ კანონის პროექტის მომზადებისას.

შრომითი შვებულებების სისტემის გარდაქმნის შესახებ

ახლა ნება მიბოძეთ, მოკლედ დავახასიათო შრომითი შვებულებების სისტემის ძირითადი დებულებანი.

როგორც ზემოთ აღინიშნა, მინიმალური შრომითი შვებულების ხანგრძლივობა გათვალისწინებულია გავზარდოთ 3 სამუშაო დღით და დავადგინოთ იგი 21 კალენდარული დღის ოდენობით. ეს ეგრეთ წოდებული საბაზო სოციალურ-გარანტირებული შრომითი შვებულებაა.

ამავე დროს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო პროფსაბჭოს მიაჩნიათ, რომ შრომითი შვებულებების სისტემამ უნდა შეასრულოს არა მარტო სოციალური დაცვის, არამედ მასტიმულირებელი ფუნქციაც. კანონის პროექტში შემოთავაზებულია მოვახდინოთ შვებულებების ხანგრძლივობის დიფერენციაცია მინიმალურის დამატებით სამი კატეგორიის: შრომითი სტაჟის, შრომის პირობებისა და შრომის ხასიათის მიხედვით.

როგორ იქნება ეს პრაქტიკულად?

უწინარეს ყოვლისა გათვალისწინებულია შემოღებულ იქნეს მუშაობის საერთო სტაჟის მიხედვით შვებულების ხანგრძლივობის გაზრდის დიფერენცირებული სკალა. მთავრობა და საკავშირო პროფსაბჭო შრომითი კოლექტივების აზრის გათვალისწინებით გთავაზობენ შემოვიღოთ ორსაფეხურიანი სკალა:

— 5 წელზე მეტი სტაჟის დროს ძირითადი შვებულება იზრდება 3 კალენდარული დღით და შეადგენს 24 დღეს;

— 10 წლის სტაჟის მიღწევისას შვებულება იზრდება შვიდი კალენდარული დღით მინიმალურთან შედარებით და მიაღწევს 28 კალენდარულ დღეს;

ამრიგად, ამხანაგებო, შრომის ნორმალური პირობებისათვის 28 კალენდარული დღის ძირითადი შვებულების მაქსიმალური ხანგრძლივობა მიიღწევა 10 წლის საერთო სტაჟის დროს.

კანონპროექტში არის კიდევ ერთი დიდმნიშვნელოვანი სიახლე: ახლა შვებულების უფლებას მუშაკი იძენს სამსახურის ახალ ადგილას მუშაობის დაწყებიდან არა 11, არამედ 6 თვის შემდეგ, რაც შეესაბამება საერთაშორისო ნორმას.

ახლა **შრომის პირობების** მიხედვით შვებულების ხანგრძლივობაზე.

მძიმე და მავნე პირობების წარმოებებისათვის გათვალისწინებულია დადგინდეს შეღავათიანი წესი: 28 კალენდარული დღის ძირითადი შვებულების მაქსიმალური ხანგრძლივობა მიიღწევა არა 10, არამედ 5 წელიწადში.

ამავე დროს შემოტანილია წინადადება მძიმე და მავნე შრომის პირობების სამუშაოებზე დასაქმებულ პირთათვის შემოვიღოთ **დამატებითი** შვებულებები. ეს გამართლებულია, რადგან ასეთ პირობებში მუშაობა გაზრდილ ენერგოდანახარჯებს, შესაძლო პროფესიული დაავადებების პროფილაქტიკისათვის დამატებით დროს მოითხოვს.

დამატებითი შვებულებების ხანგრძლივობის განსაზღვრას საფუძვლად უდევს იგივე პრინციპები, რაც სესიის მიერ მოწონებულ კანონპროექტს პენსიების შესახებ.

ამასთან მავნე და მძიმე სამუშაოთა მაჩვენებლები წესდება გამჭოლი მთელი სახალხო მეურნეობისათვის, და არა ცალკეული დარგებისათვის, როგორც ეს დღემდე იყო.

შემდეგ, ყველა მავნე წარმოება გათვალისწინებულია გაიყოს ორ ჯგუფად.

პირველს, რომელიც შეესაბამება №1 ნუსხას, შეადგენენ წარმოებანი, სადაც არახელსაყრელ პირობებს ტექნიკური პროგრესისაგან დამოუკიდებელი მყარი ხასიათი აქვთ.

ის წარმოებანი, სადაც არახელსაყრელი შრომის პირობები შეიძლება გაუმჯობესდეს ტექნიკურ და ტექნოლოგიურ ღონისძიებათა გზით, თავმოყრილია №2 ნუსხაში.

შრომის კონკრეტული პირობების მიხედვით დამატებითი შვებულება შეიძლება აღწევდეს 42-მდე კალენდარულ დღეს. თანაც წინანდელი პრაქტიკისაგან განსხვავებით, როცა ამ შვებულებების ხანგრძლივობა მკაცრად იყო რეგლამენტირებული ცენტრიდან, შემოთავაზებულ კანონპროექტში გათვალისწინებულია დამატებითი შვებულების მხოლოდ მაქსიმალური ოდენობა სამუშაოთა ყოველი ჯგუფის მიხედვით. მის კონკრეტულ ოდენობას კი თითოეული საწარმო დამოუკიდებლად განსაზღვრავს სამუშაო ადგილების ატესტაციის შედეგების შესაბამისად, იმისდა მიხედვით, თუ როგორია შრომის პირობების მავნეობის, შესაბამის უბანზე დღისა და წლის განმავლობაში მშრომელის დასაქმების დონე, და დაამტკიცებს კოლექტიური ხელშეკრულებით.

ამ მუშაობაში საწარმოებს უნდა დაეხმარონ და საჭიროების შემთხვევაში მისი მიმდინარეობა გააკონტროლონ შრომის პირობების სახელმწიფო ექსპერტიზის ორგანოებმა, რომლებიც იქმნება.

განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო, რომ შემოთავაზებული მექანიზმის გამოყენების შედეგად ძირითადი და დამატებითი შვებულებების საერთო ხანგრძლივობა არსებითად გაიზრდება სწორედ იმ კატეგორიათა მშრომელებისათვის, რომლებიც დღეს ნამდვილად მძიმე და მავნე პირობებში მუშაობენ.

მაგალითად, ქვანახშირის მრეწველობის მუშებს, რომლებიც ყველაზე მძიმე და მავნე სამუშაოებზე არიან დასაქმებული, შვებულება საერთოდ მოემატებათ 39-დან 48-54 დღემდე, ხოლო ზოგ შემთხვევაში — 57-60 დღემდე. თუ გავითვალისწინებთ იმ სხვა შეღავათებს, რომელთა მიცემის უფლება თვით საწარმოებს აქვთ, მრავალცვლიანი რეჟიმის პირობებში მიწისქვეშ მომუშავე მეშახტეებმა შეიძლება მიიღონ შვებულება საერთოდ 70-მდე კალენდარული დღის ხანგრძლივობით.

ამრიგად, კანონის პროექტში მთლიანად არის გათვალისწინებული სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 3 აგვისტოს №608 დადგენილების დებულებანი მეშახტეებთან მოლაპარაკების შედეგების გამო.

მძიმე კლიმატურ და ბუნებრივ პირობებში ცხოვრობს და შრომობს უკიდურესი ჩრდილოეთის რაიონების და მათთან გათანაბრებული ადგილების მოსახლეობა. ამიტომ სავსებით დასაბუთებული და სამართლიანია — და ეს გათვალისწინებულია კანონის პროექტში — მიეცეს უკიდურესი ჩრდილოეთის რაიონების ყველა მშრომელს დამატებითი შვებულება 3 კვირის ხანგრძლივობით, ხოლო მათთან გათანაბრებული ადგილების მშრომელებს — 2 კვირის ხანგრძლივობით.

ნება მიბოძეთ ახლა, ამხანაგებო, შევეხო დამატებითს შვებულებებს **მუშაობის განსაკუთრებული ხასიათისათვის.**

მრავლად არიან პირები, რომელთა შრომის პირობები არ განეკუთვნება მავნეს და მძიმეს, მაგრამ დაკავშირებულია გაძლიერებულ ნერვულ, ემოციურ, გონებრივ, ფიზიკურ დატვირთვასთან, სხვა არახელსაყრელ ფაქტორებთან. საქმე ეხება მფრინავთა და გამომცდელ მფრინავთა შემადგენლობას, საზღვაო და სამდინარო ფლოტის მშრომელებს, გეოლოგიური და სხვა ექსპედიციებისა და პარტიების მუშაკებს, იმათ, ვინც შრომობს მაღალი მთის პირობებში, რკინიგზის ტრანსპორტზე, დიდი ქალაქების საქალაქო ტრანსპორტის მძღოლებს და ზოგიერთი სხვა კატეგორიის მუშაკებს.

ყველა ამ მშრომელისათვის გათვალისწინებულია დამატებითი შვებულება, რომელიც დიფერენცირებულია შრომის უნარიანობის აღდგენისათვის საჭირო დროის გათვალისწინებით. ამასთან დიაპაზონი აქ ფრიად დიდია: სამ დღემდეც და 42 დღემდეც — მაგალითად, მფრინავებისათვის.

შრომითი შვებულებების თემის დასასრულს მინდა განსაკუთრებით აღვნიშნო, რომ ახალი კანონპროექტი არ აუარესებს არც ერთი კატეგორიის მომუშავეთა მდგომარეობას, თუმცა მათგან ცალკეულთათვის გათვალისწინებულია მოხდეს გარკვეული კორექტირება.

კერძოდ, ხელმძღვანელების, სპეციალისტებისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისათვის არამიზანშეწონილად არის მიჩნეული შეუნარჩუნდეთ ეგრეთ წოდებული გახანგრძლივებული შვებულება არანორმირებული სამუშაო დღისათვის; რამდენადაც იგი უწესდება პრაქტიკულად ყველა მუშაკს და არა აქვს არავითარი მასტიმულირებელი დატვირთვა. ამიტომ კანონის პროექტში გათვალისწინებულია ამ მუშაკებისათვის დაწესდეს ძირითადი შვებულება 4 კვირის ხანგრძლივობით, მუშაობის სტაჟის მიუხედავად, ესე იგი ფაქტობრივად დარჩეს ახლანდელი პირობები.

ამჟამად მოქმედებს მთავრობის მთელი რიგი დადგენილებანი ცალკეულ კატეგორიათა მუშაკებისათვის რვა კვირამდე ხანგრძლივობის ძირითადი გახანგრძლივებული შვებულების დაწესების შესახებ.

მაგალითად, ჯერ კიდევ 1949 წელს დაწესებულია რვაკვირიანი შვებულება სკოლების მასწავლებლებისათვის, სხვადასხვა სასწავლებლის პედაგოგებისათვის, წამყვანი სამეცნიერო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების მეცნიერებათა დოქტორებისათვის და 6-კვირიანი შვებულება — მთელი რიგი სხვა მუშაკებისათვის.

შემდგომ მიღებული იყო გადაწყვეტილებანი ასეთი შვებულებების დაწესების შესახებ თეატრების მსახიობთა და სამხატვრო პერსონალისათვის, სკოლამდელი ბავშვთა დაწესებულებების აღმზრდელებისათვის.

არსებული პრაქტიკა გათვალისწინებულია დამკვიდრდეს საკანონმდებლო წესით.

სოციალური შვებულებების სისტემის შესახებ

ამხანაგო დეპუტატებო!

სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე, სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს სესიაზე, კომიტეტებისა და კომისიების სხდომაზე მუდამ ხაზგასმით აღინიშნებოდა, რომ საჭიროა მეტი ზრუნვა ოჯახზე, ქალზე — დედაზე. შვებულებების შესახებ კანონის პროექტში ეს პრობლემა უაღრესად უშუალოდ აისახა.

დედისა და ბავშვისათვის ხელშემწყობი პირობების შექმნის, ოჯახისათვის დახმარების გაწევის, მოზარდი თაობის აღზრდისა და განათლების მიზნით პროექტით გათვალისწინებულია რადიკალურად გაუმჯობესდეს სოციალური შვებულებების მთელი სისტემა. იგი გულისხმობს:

— შვებულებას ორსულობისა და მშობიარობის გამო;

— ნაწილობრივ ფასიან შვებულებას ბავშვის მოვლისათვის;

— დამატებითს ფასიან შვებულებას მშრომელებისათვის, რომლებსაც ჰყავთ შვილები;

— შვებულებას სწავლებასთან დაკავშირებით, ესე იგი სასწავლებლებში მუშაობისა და სწავლის შეთავსებასთან დაკავშირებით.

— შემოქმედებითს შვებულებებს.

კანონპროექტით გათვალისწინებულია მთელი რიგი ახალი ნორმა. კერძოდ, მშობიარობამდე შვებულების ხანგრძლივობა იზრდება 56-დან 70 კალენდარულ დღემდე.

მინდა თქვენი ყურადღება მივაპყრო იმას, რომ შემოღებული იქნება ახალი, ფრიად მნიშვნელოვანი პირობა, სახელდობრ: ანაზღაურდება შვებულების 126-ვე დღე, მშობიარობამდე ფაქტობრივად გამოყენებული დღეების რიცხვის მიუხედავად. შეგახსენებთ, რომ დღეს, თუ ქალი მშობიარობამდე შვებულებაში 56-ზე ნაკლები დღე იყო, გამოუყენებელი დღეები არ ნაზღაურდება.

წლინახევრამდე ასაკის ორი ან მეტი ბავშვის ყოლის შემთხვევაში ბავშვის მოვლისათვის ნაწილობრივ ფასიანი შვებულების ანაზღაურება მხედველობაშია მიღებული მოხდეს არა ერთი ბავშვისათვის, როგორც ახლა არის, არამედ თითოეული ბავშვისათვის. ეს შვებულება შეიძლება მთლიანად ან ნაწილ-ნაწილ გამოიყენონ არა მარტო დედამ, არამედ ოჯახის სხვა მომუშავე წევრებმაც, რომლებიც ფაქტობრივად უვლიან ბავშვს.

დასახულია მომუშავე ქალების თანაბრად დაუწესდეთ დახმარება ბავშვის მოვლისათვის ქალებს, რომლებიც არ მუშაობენ, და ჰყავთ წლინახევრამდე ასაკის ერთი ან მეტი შვილი. ეს ღონისძიება მოითხოვს მნიშვნელოვანი სახსრების გამოყოფას, მაგრამ იგი აუცილებელია დედისა და ბავშვის დაცვის გასაძლიერებლად.

ამჟამად მომუშავე ქალებს, რომლებსაც 12 წლამდე ასაკის ორი ან მეტი შვილი ჰყავთ, ეძლევათ სამდღიანი დამატებითი შვებულება იმ პირობით, თუ შვებულების საერთო ხანგრძლივობა არ აღემატებოდეს 28 კალენდარულ დღეს.

კანონის პროექტით გათვალისწინებულია 14 წლამდე გაიზარდოს ბავშვის ასაკი, რომლის მოვლისთვისაც ეძლევათ ეს შვებულება. სამის ნაცვლად მიეცეთ 4 კალენდარული დღის ხანგრძლივობის დამატებითი ფასიანი შვებულება, თუ ჰყავთ ორი შვილი, და 6 კალენდარული დღისა, თუ ჰყავთ სამი ან მეტი შვილი, ან ინვალიდი ბავშვი. უქმდება ამჟამად მოქმედი შეზღუდვა, რომელიც დაკავშირებულია შვებულების საერთო ხანგრძლივობასთან.

კიდევ უფრო შეღავათიანი პირობებია გათვალისწინებული მარტოხელა მშობლებისათვის და ვადიანი სამსახურის სამხედრო მოსამსახურეთა ცოლებისათვის.

როგორც იცით, მრავალი დავა და კონფლიქტი იქმნება საწარმოებში იმის გამო, რომ სამართლებრივად არ არის მოწესრიგებული უხელფასო შვებულებების მიცემის პრაქტიკა. პროექტში ეს საკითხი პოულობს საკანონმდებლო გადაწყვეტას.

უწინარესად კანონმდებლობაში მკვეთრად არის განსაზღვრული იმ კატეგორიათა მშრომელები, რომელთაც ასეთი შვებულება მათი სურვილის შემთხვევაში უნდა მიეცეთ სავალდებულო წესით. ესენი უმთავრესად არიან ქალები, რომლებიც ზრდიან შვილებს, დიდი სამამულო ომის მონაწილენი, ინვალიდები, მომუშავე პენსიონერები. მათ შეუძლიათ აიღონ შვებულება ორ კვირამდე, ორ თვემდე ხანგრძლივობით და სანამ ბავშვი სამი წლის ასაკს მიაღწევდეს.

სხვა პირებს, რომლებსაც რაღაც მიზეზების გამო სჭირდებათ უხელფასო შვებულება, შეუძლიათ მიიღონ იგი 7 კალენდარულ დღემდე ხანგრძლივობით შემდგომში გამომუშავების გარეშე.

თქვენი ყურადღება მინდა მივაპყრო იმას, რომ პროექტში, სოციალურ შვებულებებთან ერთად, გათვალისწინებულია აგრეთვე ინვალიდთა სხვა ინტერესებიც. მათ, სტაჟის მიუხედავად, დაუყოვნებლივ ეძლევათ მაქსიმალური ხანგრძლივობის ძირითადი შვებულება ზაფხულში ან წლის ნებისმიერ სხვა, მათთვის მოსახერხებელ დროს. მუშაობის პირველ წელს მათ უფლება აქვთ შვებულება მიიღონ შრომითი საქმიანობის 6 თვის გასვლამდე.

ახლებურად წყდება პროექტში ზოგჯერ ისეთი მწვავე საკითხი, როგორიც არის გამოუყენებელი შვებულებისათვის ფულადი კომპენსაცია. მოქმედი კანონმდებლობით ასეთი კომპენსაცია არ არის დაშვებული, სამუშაოდან დათხოვნის შემთხვევების გარდა. ეს გამართლებული იყო ხანმოკლე შვებულებების დროს. ახალი კანონის შემოღების შემდეგ ისინი მნიშვნელოვნად გაიზრდება. ამიტომ მშრომელთა წინადადებების შესაბამისად შესაძლებელი იქნება მუშაკის სურვილით ძირითადი და დამატებითი შვებულების ნაწილი შეიცვალოს ფულადი კომპენსაციით. მაგრამ ყველა შემთხვევაში მშრომელთა შვებულება სამ კვირაზე ნაკლები არ უნდა იყოს.

ვფიქრობ, დამეთანხმებით, ამხანაგებო, რომ ასეთი ღონისძიება პროგრესულია და საშუალებას იძლევა გადაწყდეს მთელი რიგი პირადი, საოჯახო და საწარმოო ხასიათის საკითხები.

ამასვე შეუწყობს ხელს პროექტში გათვალისწინებული მშრომელთა უფლება შვებულება ნაწილ-ნაწილ აიღონ. მაგრამ იმ პირობით, რომ ერთ-ერთი ნაწილი ორ კვირაზე ნაკლები არ უნდა იყოს.

შვებულებების რეგლამენტაციაში რესპუბლიკებისა და შრომითი კოლექტივების უფლებების გაფართოების შესახებ

ამხანაგებო!

წარმოდგენილ კანონის პროექტში ასახულია სამეურნეო მექანიზმში შეტანილი ცვლილებები, რომლებიც დაკავშირებულია მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენული უფლებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების დამოუკიდებლობის ზრდასთან, თვითდაფინანსებისა და თვითანაზღაურების განვითარებასთან.

გათვალისწინებულია ადმინისტრაციისა და შრომითი კოლექტივების უფლებათა გაფართოება შვებულებების ხანგრძლივობისა და მათი მიცემის წესის განსაზღვრაში. ადმინისტრაციას პროფკავშირულ კომიტეტთან შეთანხმებით უფლება ეძლევა მუშაკები წაახალისოს დამატებითი შვებულებით შრომაში მიღწეული კარგი შედეგებისათვის, მისცეს შვებულება მრავალცვლიანი რეჟიმისათვის და უწყვეტი სამუშაო კვირის გრაფიკის მიხედვით, ზეგანაკვეთური მუშაობისათვის, აგრეთვე დაადგინოს დამატებითი ანაზღაურება და სოციალური შვებულებების სხვა შეღავათები.

კანონპროექტით მკვიდრდება წესი, რომლის შესაბამისად მუშაკებისათვის შვებულებების მიცემის საკითხები განსაზღვრულია კოლექტიურ ხელშეკრულებაში. ეს ამაღლებს მხარეების პასუხისმგებლობას, ხელს შეუწყობს კონფლიქტური სიტუაციების რაოდენობის შემცირებას.

კანონპროექტი აფართოებს მოკავშირე რესპუბლიკებისა და ადგილობრივი საბჭოების უფლებებს შვებულებების საკითხთა გადაწყვეტაში. როგორც იცით, შვებულებების სისტემის მკაცრი ცენტრალიზაციის პირობებში რესპუბლიკებს პრაქტიკულად აქ არავითარი უფლება არ ჰქონდათ. ეს ეწინააღმდეგება სოციალურ და ეკონომიკურ სფეროში რესპუბლიკების დამოუკიდებლობის გაფართოებასთან დაკავშირებულ ობიექტურ ტენდენციებს. ამიტომ პროექტით გათვალისწინებულია, მოკავშირე რესპუბლიკებს მიენიჭოთ მთელი რიგი უფლებამოსილებანი ამ საკითხებში.

ეს არსებითად გაცილებით უფრო მოქნილს და დინამიკურს ხდის სისტემას, რესპუბლიკებს მისცემს საშუალებას დაადგინონ შეღავათები და ამისათვის იხელმძღვანელონ თავიანთი კონკრეტული სოციალური პირობებით და ეკონომიკური შესაძლებლობებით. კანონპროექტის შესაბამისად რესპუბლიკები უფლებამოსილი არიან:

— დაადგინონ რესპუბლიკური ბიუჯეტების სახსრების ხარჯზე გადიდებული ხანგრძლივობის სოციალური შვებულებები, გაზარდონ ამ შვებულებების ანაზღაურების გარანტირებული ოდენობა, აგრეთვე უფრო შეღავათიანი პირობებით მისცენ მუშაკებს ყოველწლიური ძირითადი შვებულება შრომითი სტაჟის ხანგრძლივობის მიხედვით და დამატებითი შვებულებები განსაკუთრებული ხასიათის სამუშაოსათვის;

— დაადგინონ კანონის პროექტში ჩამოყალიბებულისაგან განსხვავებული საფუძვლები იმისა, რომ მუშაკს მიეცეს ყოველწლიური ძირითადი შვებულება მაქსიმალური ხანგრძლივობის ფარგლებში და არანაკლები ვიდრე გათვალისწინებულია, მინიმალური გარანტირებული ხანგრძლივობის შვებულებით.

სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებს შეუძლიათ დაადგინონ, რა თქმა უნდა, საკუთარი სახსრების ხარჯზე, დამატებითი შეღავათები სოციალური შვებულებებისათვის.

კანონის პროექტის მომზადებისას მიღებულია ბევრი წინადადება იმის შესახებ, რომ შემცირდეს შვებულებები გაცდენებისა და შრომითი და საწარმოო დისციპლინის სხვა დარღვევებისათვის. მთავრობას მიაჩნია, რომ ამ წინადადებებს მხარი უნდა დავუჭიროთ. ამიტომ კანონის პროექტში გათვალისწინებულია, რომ საპატიო მიზეზის გარეშე გაცდენისათვის მუშაკს შეიძლება შეუმცირდეს არა მარტო ძირითადი, არამედ დამატებითი შვებულებების ხანგრძლივობა.

ყველა შემთხვევაში ამასთან მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ შვებულების მინიმალური ხანგრძლივობა არ უნდა იყოს სამ კვირაზე ნაკლები.

კანონის სოციალურ-ეკონომიკური შედეგები

სსრ კავშირის მთავრობისა და საკავშირო პროფსაბჭოს აზრით, ჩამოყალიბებული მიდგომის რეალიზაცია უზრუნველყოფს ყველა მშრომელის შვებულების სახელმწიფო გარანტიას, მოაწესრიგებს შრომითი შვებულებების სისტემას სოციალური სამართლიანობის პრინციპის შესაბამისად, გააძლიერებს შრომით წვლილზე და შრომის რეალურ პირობებზე შვებულების ხანგრძლივობის დამოკიდებულებას, გააძლიერებს სოციალური შვებულებების როლს ოჯახის განმტკიცების, დედათა და ბავშვთა დაცვის სახელმწიფო პროგრამების განხორციელებაში. შვებულებების სისტემა უფრო მარტივი, ნათელი და გასაგები გახდება მშრომელებისათვის.

შვებულებების შესახებ სსრ კავშირის კანონის მიღება 90 მილიონ მშრომელს შეუქმნის შრომისუნარიანობის აღდგენისა და სრულფასოვანი დასვენების უფრო ხელსაყრელ პირობებს.

შვებულებების ხანგრძლივობა საგრძნობლად გაუდიდდებათ უწინარეს ყოვლისა საწარმოო დარგების მუშებსა და კოლმეურნეებს.

აი ზოგიერთი ციფრი. ახლა 15-17 სამუშაო დღის ხანგრძლივობის შვებულება აქვს 25,6 მილიონ მშრომელს. ახალი კანონით ასეთი ხანმოკლე შვებულებები უბრალოდ აღარ იქნება. სამაგიეროდ 28 და მეტი კალენდარული დღის ხანგრძლივობის შვებულებით ისარგებლებს თითქმის 80 მილიონი კაცი, ანუ სულ ცოტა 40 პროცენტით მეტი, ვიდრე ახლა.

ამ დიდი მასშტაბის სოციალური ღონისძიების რეალიზაციას დასჭირდება 8 მილიარდი მანეთის დამატებითი ხარჯები ერთ წელზე გაანგარიშებით.

პროექტით გათვალისწინებული შვებულებების ხანგრძლივობის გადიდება არსებითად სახალხო მეურნეობაში მუშა-მოსამსახურეთა საერთო რიცხვის 2,3 მილიონი კაცით შემცირების ტოლფარდია. ამიტომ ახალი კანონის რეალურ სიკეთეს ვიგრძნობთ მხოლოდ მაშინ, თუ სამუშაო დროის დანაკარგები მთლიანად იქნება კომპენსირებული შრომის ნაყოფიერების ზრდით, ორგანიზებულობისა და დისციპლინის განმტკიცების გზით.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, არ უნდა დავუშვათ არა მარტო ის, რომ შემცირდეს პროდუქციის გამოშვება, არამედ პირიქით, მნიშვნელოვნად უნდა გავზარდოთ იგი, უფრო ეფექტიანად გამოვიყენოთ საწარმოო პოტენციალი.

საწარმოებმა შიდასაწარმოო რეზერვების მობილიზაციის გზით უნდა გამონახონ სახსრები იმ მუშაკთა შრომის ანაზღაურებისათვის, რომლებიც ცვლიან შვებულებაში მყოფთ, ამასთან მხედველობაში იქონიონ, რომ შვებულებების ხანგრძლივობის ზრდისათვის ხარჯები უნდა გაიღონ სამეურნეო ანგარიშზე მომუშავე საწარმოებმა შრომის ანაზღაურებისათვის გათვალისწინებული საკუთარი სახსრების ხარჯზე, საბიუჯეტო ორგანიზაციებმა კი — ბიუჯეტის ხარჯზე. ვითვალისწინებთ რა შვებულებების შესახებ კანონის რეალიზაციისათვის საჭირო დიდ ხარჯებს, აგრეთვე მის სოციალურ-ეკონომიკურ მნიშვნელობას, მიზანშეწონილად გვესახება, რომ ეს კანონი ეტაპობრივად შემოვიღოთ მეცამეტე ხუთწლედში. მისი შემოღების კონკრეტული ვადები შეიძლება დაისახოს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების 1991-1995 წლების გეგმის ფორმირებისას.

თუ დასახული სოციალური პროგრამები, მათ შორის შვებულებების ხანგრძლივობის გადიდება, პირდაპირ იქნება დაკავშირებული ეკონომიკის ეფექტიანობის გადიდების ღონისძიებებთან, ეს ჩვენს გეგმებს რეალისტურს და შესასრულებელს გახდის.

ამხანაგო დეპუტატებო!

გამოსვლის დამთავრებისას მინდა გაცნობოთ, რომ კანონის პროექტი წინასწარ განიხილეს სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს შრომის, ფასებისა და სოციალური პოლიტიკის კომისიაზე სხვა კომისიებისა და კომიტეტების წარმომადგენელთა მონაწილეობით. კანონპროექტს საერთოდ მხარი დაუჭირეს.

საყოველთაო-სახალხო განხილვის შედეგების მიხედვით მასზე შემდგომი მუშაობისათვის კომისიამ შექმნა სამუშაო ჯგუფი, რომელშიც შედიან სახალხო დეპუტატები, მთავრობის წარმომადგენლები, მეცნიერები და სპეციალისტები.

გთხოვთ განიხილოთ და მხარი დაუჭიროთ „შვებულებების შესახებ" სსრ კავშირის კანონის პროექტს, რომელიც წარმოადგინეს მთავრობამ და საკავშირო პროფსაბჭომ.

კანონისაკენ მიმავალი გრძელი გზა

(დასასრული)

თა მიზანია დეპუტატთა უფლებების, პატივისა და ღირსების დაცვა. ყველაზე მეტი ინტერესი გამოიწვია დებულებამ გამოწვევისა და ამომრჩეველთა განაწესების შესახებ. კერძოდ, წამოაყენეს წინადადება დააკანონონ დეპუტატის შესაძლებლობა ხელი არ მოჰკიდოს განაწესებს, რომლებიც ეწინააღმდეგება მის მრწამსს, წინასაარჩევნო პლატფორმას. დეპუტატმა არ უნდა შეასრულოს ავტომატურად ყველა გამოთქმული სურვილი. ხაზგასმით აღინიშნა, რომ სტატუსის შესახებ კანონი უნდა გახდეს მნიშვნელოვანი პოლიტიკური დოკუმენტი. მას სერიოზული მნიშვნელობა აქვს არა მარტო თვით დეპუტატებისათვის, არამედ მათი ამომრჩევლებისა და მთელი საზოგადოებისათვის, რომელმაც ზუსტად უნდა იცოდეს, რა შეუძლია უმაღლესი სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენელს.

კენჭის ყრისათვის გამოიტანეს წინადადება გამოაქვეყნონ გაწვევის შესახებ პროექტი ყრილობამდე საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის. მაგრამ ეს უარყვეს.

საბოლოოდ მიღებულია დადგენილებანი მოიწონონ კანონპროექტები სსრ კავშირში სახალხო დეპუტატთა სტატუსისა და სსრ კავშირის სახალხო დეპუტატის გაწვევის წესის შესახებ. უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმსა და შესაბამის კომიტეტებს დაევალოთ შეიტანონ მათში შესწორებები სახალხო დეპუტატთა წინადადებებისა და შენიშვნების გათვალისწინებით. შესაბამისი დამუშავების შემდეგ ეს დოკუმენტები გამოტანილი იქნება, როგორც განზრახული იყო, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა მეორე ყრილობის განსახილველად.

საღამოს სხდომის თავმჯდომარემ **მ. ს. გორბაჩოვმა** წინადადება წამოაყენა დაუბრუნდნენ ლიტვის სსრ, ლატვიის სსრ და ესტონეთის სსრ ეკონომიკური დამოუკიდებლობის შესახებ კანონის პროექტის განხილვას. მან დამსწრეთ შეახსენა, რომ პარასკევს ამ საკითხზე გამართული დისკუსიის შემდეგ შესაბამის კომიტეტებსა და კომისიებს ბალტიისპირეთის რესპუბლიკის წარმომადგენლებთან ერთად დაევალათ დაეხვეწათ ეს დოკუმენტი და დღეს სესიის განსახილველად წარმოედგინათ მისი შეთანხმებული ვარიანტი.

სიტყვა ამ მუშაობის შედეგების შესახებ ეძლევა ეკონომიკური რეფორმის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეს **ვ. მ. ვოლოგჟინს.** მან თქვა, რომ მისმა კომიტეტმა და კანონმდებლობის, კანონიერებისა და მართლწესრიგის საკითხთა კომიტეტმა, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქებისა და ოკრუგების სოციალური და ეკონომიკური განვითარების საკითხთა, საგეგმო და საბიუჯეტო-საფინანსო კომისიებმა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან და ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთისაგან სახალხო დეპუტატებთან ერთად განიხილეს მიდგომები და შესაძლო გადაწყვეტანი კანონპროექტის ცალკეული მუხლებისა და დებულებების მიხედვით. ორატორმა მათ შესახებ მუხლობრივად ილაპარაკა.

შემდეგ სიტყვა ეძლევა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს **ლ. ი. აბალკინს.** მან აღნიშნა, რომ ეს კანონი იბადება საკმაოდ რთულ ვითარებაში, სერიოზულ უთანხმოებათა პირობებში. დღეს ჩვენ გვაქვს მრავალთვიანი მუშაობის, ძიების, საწინააღმდეგო პოზიციათა შეთანხმების შედეგი. ეს არის მიდგომების დაახლოებისა და პრობლემათა გაგების შედეგი, გარკვეული კომპრომისის შედეგი, რომელიც მიღწეულია განხილვის დროს. გამოვლინდა კეთილი განზრახვანი და ურთიერთნაბიჯები ამ პროექტის მომზადებისას დაახლოებისათვის. უნდა გადაიდგას პირველი ნაბიჯი, საკმაოდ გაბედული, რადიკალური, რათა შესაძლებლობა გვქონდეს სამი რესპუბლიკის გამოცდილებით დავაგროვოთ პრაქტიკული მარაგნაკეთი, რომელიც საშუალებას მოგვცემს წარმოვაჩინოთ წარმოშობილი პრობლემები და წინ წავიწიოთ ყველა მოკავშირე რესპუბლიკის ეკონომიკური დამოუკიდებლობის საკითხთა გადაწყვეტისაკენ, მათ შორის აგრეთვე რესპუბლიკებსა და სსრ კავშირს შორის რაციონალური ურთიერთობის მოგვარებისაკენ. ამ კანონის მნიშვნელოვანი თავისებურება კიდევ ისიც არის, თქვა შემდეგ ორატორმა, რომ მას განვიხილავთ და მივიღებთ, ალბათ, საკუთრების, მიწის, ერთიანი საგადასახადო სისტემის მთელი რიგი ფუძემდებლური კანონების მიღებამდე. როცა ისინი დაიხვეწება, ბევრი რამ შეიძლება დაზუსტდეს ამ კანონში, მრავალი საკითხი შეიძლება მოხსნილი აღმოჩნდეს, მაგრამ ახლა წარმოიშობა მათი უფრო ზუსტი რეგულირების პრობლემა. განიხილა, რა შემთანხმებელი კომისიის მუშაობის შედეგები, მთავრობა წინადადებას იძლევა შემოთავაზებულ პროექტში შევიტანოთ ზოგიერთი დაზუსტებანი და მივიღოთ იგი.

მაგრამ პროექტმა კვლავ მრავალი კითხვა გამოიწვია. დეპუტატები ზედმიწევნით სწვდებოდნენ ყველა პუნქტს, მათ შორის იმათ, რომლებიც ეხება ბუნებრივი რესურსების ფლობასა და სარგებლობას, ფინანსური სისტემისა და რესპუბლიკური ბანკების საქმიანობის ხელმძღვანელობას, ფასწარმოქმნას, შრომის ანაზღაურების პირობებს, პენსიებსა და დახმარებებს. ინტერესი გამოიწვია რეგიონების საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის წესმა, საკავშირო ბიუჯეტსა და რესპუბლიკის ბიუჯეტს შორის შემოსავლის განაწილებამ, საერთო-საკავშირო მნიშვნელობის მქონე რკინიგზების, მაგისტრალური ნავთობ-გაზსადენებისა და სხვა ობიექტების კუთვნილებამ. წარმოიშვა ბუნებრივი ყოფითი საკითხები, მაგალითად, როგორ იმოქმედებს მანეთი, რა ფულადი ნიშნებით უნდა მოახდინონ ანგარიშსწორება რეგიონის ტერიტორიაზე მივლინებულებმა ან შვებულებაში მყოფებმა. შიშიც კი გამოითქვა, ხომ არ დაემსგავსება ცენტრი რესპუბლიკების დიდი დამოუკიდებლობის პირობებში ინგლისის დედოფალს.

იმდენი საწინააღმდეგო აზრი და შენიშვნა იყო, რომ ლ. ი. აბალკინმა დამსწრეთ შეახსენა: მე არ ვყოფილვარ ამ პროექტის თაობაზე მომხსენებელი და დოკუმენტი თვით დეპუტატებმა განიხილეს ამ დარბაზში ჯერ კიდევ პირველ სესიაზე. თავმჯდომარემ შენიშნა, რომ მთავრობის წარმომადგენელი ამ შემთხვევაში იცავს ჭეშმარიტებას. ეს რეპლიკა პარლამენტმა მოწონებით მიიღო.

დასასრულ ორატორმა ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღნიშნა განსახილველი კანონპროექტის დიდი მნიშვნელობა. ეკონომიკურ დამოუკიდებლობაზე გადასვლა უდიდესი მოვალეობაა, რომელსაც კისრულობენ რესპუბლიკები, იგი დიდ გარჯასა და პასუხისმგებლობას მოითხოვს. ამიერიდან მოსკოვის, ცენტრის დამოწმება უსაფუძვლო გახდება. რესპუბლიკების ხელმძღვანელებმა პასუხი უნდა აგონ ხალხის წინაშე ყველაფრისათვის. ამისათვის მათ უნდა მიიღონ უფლებები.

ორსაათ-ნახევარს გაგრძელდა დისკუსია ამ საკითხზე. გამოითქვა მრავალი წინადადება — როგორც კანონპროექტის არსის, ისე პროცედურის თაობაზე. სთავაზობდნენ მუხლებისა და პუნქტების სხვადასხვა რედაქციას. მაგრამ დეპუტატებმა ყურად იღეს ბალტიისპირელი კოლეგების არგუმენტები, რომლებმაც დამაჯერებლად აუხსნეს, რომ შემოთავაზებულმა დოკუმენტმა აპრობაცია გაიარა მთავრობაში, მოწონებულია უმაღლესი საბჭოს მიერ პირველი წაკითხვით და გააზრებული შენიშვნების შეტანის შემდეგ წარმოადგენს შეწონასწორებულ და მთლიან ვარიანტს. სასწრაფოდ და სახელდახელოდ შობილმა მთელმა რიგმა შესწორებებმა შეიძლება დაანგრიოს ეს მთლიანობა, არსი გამოაცალოს მას.

ამ თვალსაზრისს მხარი დაუჭირა ზოგიერთმა დეპუტატმა, მათ, კერძოდ, დამსწრეთ შეახსენეს გადაწყვეტილება, რომლის თანახმად კენჭს იყრის მხოლოდ კომიტეტებსა და კომისიებში მოწონებული შესწორებები. უზენაესმა საბჭომ კენჭი უყარა მთავრობის მიერ შემოტანილ წინადადებებს. შემდეგ კანონპროექტი გაიტანეს მთლიანად სახელობითი კენჭისყრისათვის. როცა გამოცხადდა, რომ იგი მიღებულია, დარბაზში გაისმა ტაში. დეპუტატთა დიდი ნაწილი ფეხზე ადგა და ხარობდა სერიოზულ გამარჯვებას. რას იზამ, ეს შეიძლება ნამდვილად გამარჯვება აღმოჩნდეს გარდაქმნის მორიგ ეტაპზე.

დღის განმავლობაში დეპუტატებმა ორჯერ მიმართეს მიწის შესახებ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძვლების პროექტს. შეგახსენებთ, რომ ისიც უკვე განიხილეს წინა კვირაში და დასამუშავებლად გადაეცა კომიტეტებსა და კომისიებს.

ეს დავალება შესრულებულია, განაცხადა აგრარულ საკითხთა და სურსათის კომიტეტის სახელით დეპუტატმა **ა. ა. ნიკონოვმა.** გამართა მრავალრიცხოვანი შეხვედრები კომიტეტებისა და კომისიების წარმომადგენლებთან, განიხილეს დიდძალი წერილობითი და ზეპირი წინადადებანი, რომელთა უმრავლესობა გათვალისწინებულია. როგორც ცნობილია, 22 ნოემბრის მწვავე დისკუსია გამოიწვია მაშინ წარმოდგენილი პროექტის თვით კონცეფციამ. ყველანი ჩვენ, როგორც ჩანს, ერთიანნი ვართ იმაში, თქვა ორატორმა, რომ უნდა გვქონდეს ისეთი კანონი, რომელიც საშუალებას მისცემდა გლეხს, რაც შეიძლება სწრაფად, თავის მიწაზე სრულად უზრუნველეყო ხალხი საკუთარი პურით. მაგრამ ამისათვის საჭიროა, რომ მიწას ჰყავდეს სრულუფლებიანი, კომპეტენტური და პასუხისმგებელი პატრონი, რომელსაც არავინ არ უჩიჩინებს, არ მბრძანებლობს, არ აძლევს მოუფიქრებელ ბრძანებებს, რომ პროდუქციაში მას უხდიდნენ სრულ მანეთს და უზრუნველყოფდნენ წარმოების თანამედროვე იარაღით.

ხანგრძლივი კონსტრუქციული დისკუსიების შემდეგ, თქვა ორატორმა, გადაწყდა მიეღოთ ის დებულება, რომელიც ჩამოყალიბებულია საკუთრების შესახებ კანონის გამოქვეყნებულ პროექტში. ამიტომ განსახილველ პროექტში ჩაწერილია: მიწა არის მოცემულ ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხის განუყოფელი კუთვნილება. მხედველობაშია მთელი საბჭოთა ხალხიც, თითოეული ხალხიც, მათ შორის მცირერიცხოვანი ხალხები. ისინი არიან პატრონები, და სხვა არავინ.

მიწის განკარგვის უფლებამოსილებას ახორციელებენ სახალხო დეპუტატთა საბჭოები. მიწა სამისდღეშიო სამკვიდრო მფლობელობაში ეძლევათ გლეხებს, რომლებიც ეწევიან ოჯახურ შრომით მეურნეობას; კოლექტიურ მფლობელობაში — კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს; სარგებლობაში — სამრეწველო, სატრანსპორტო და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებსა და ორგანიზაციებს. ამრიგად, ვტოვებთ რა მიწას ხალხის საკუთრებაში, აღნიშნა ორატორმა, სრულუფლებიან ბატონპატრონად ვხდით კოლმეურნესა და კოლექტივს, რომელიც ახორციელებს მეურნეობრიობას და თავისუფლად, დამოუკიდებლად ყიდის წარმოებულ პროდუქციას. ეს ის პრინციპულად ახალი რამ არის, რაც საშუალებას მოგვცემს დავძლიოთ გაუპიროვნება, რომელიც მოჰყვა მიწის საკუთრების მთლიან გასახელმწიფოებრიობას.

შემდეგ წაიკითხეს პროექტში შეტანილი მთელი რიგი არსებითი ცვლილებები. ორატორმა მას უწოდა ძალზე პასუხსაგები დოკუმენტი, რომელსაც ხალხი მოელის, და წინადადება წამოაყენა მიიღონ იგი პირველი წაკითხვით და გამოაქვეყნონ საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის.

მაგრამ დეპუტატები მაშინვე როდი დაეთანხმნენ ამას. ემოციური კამათის შემდეგ, რომელიც ეხებოდა საკითხის არსსაც და პროექტის შემდგომ ბედსაც, გადაწყდა: მოიწონონ მიწის შესახებ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების საფუძვლების პროექტის ძირითადი დებულებანი, დაევალოთ უზენაესი საბჭოს შესაბამის კომიტეტებს დახვეწონ იგი და შემდეგ გამოაქვეყნონ საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის.

ლ. ერმაკოვა,
ს. ჟარკოვი,
ვ. ოლეინიჩენკო,
ო. სვისტუნოვა.

რკინიგზა:

უთანხმოებანი

ჩიხში გვაქცევს

28 ნოემბერს ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისისა და სამტრედიის განყოფილებებში დაუცლელი დარჩა თითქმის ცხა ათასი ვაგონი. მნიშვნელოვნად შემცირდა მაგისტრალის გამტარუნარიანობა. დღეს მას შეუძლია დღე-ღამეში გაატაროს მხოლოდ 45 სატვირთო მატარებელი. მდგომარეობას ართულებს ისიც, რომ აზერბაიჯანმა განაახლა სომხეთის სატრანსპორტო ბლოკადა. ყოველივე ეს მრავალი, ამასთან ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების შედეგია.

საქინფორმის კორესპონდენტის თხოვნით შექმნილ სიტუაციას განმარტავს გზის სამმართველოს უფროსის მოადგილე ოლეგ ბიჭიაშვილი:

— იმან, რომ აზერბაიჯანმა განაახლა სომხეთის სატრანსპორტო ბლოკადა, ჩიხში მოგვაქცია. თბილისის კვანძის 25 რკინიგზის ხაზი უკავია სომხეთში გასაგზავნ 1200 ვაგონს. ამას ისიც დაემატა, რომ არის შეფერხებები ელექტროენერგიის მიწოდებაში. რა თქმა უნდა, საქენერგოს თავისი პრობლემები აქვს, მაგრამ ჩვენი ინტერესებიც უნდა გაითვალისწინოს. ამჟამად ამ საკითხზე მოლაპარაკება გვაქვს ენერგეტიკოსებთან. ერთობლივად ვადგენთ ობიექტების სიებს, რომელთა გამორთვა გარკვეულ საათებში უმტკივნეულოდ შეიძლება.

რა თქმა უნდა, ბევრი რამ ჩვენივე ბრალია. დაბალია საწარმოო დისციპლინა, სარემონტო სამუშაოების ცუდი ხარისხის გამო ხშირად ფუჭდება ელმავლები. ჭიანურდება მრავალი სოციალური საკითხის გადაწყვეტა, ამ მიზეზითაა, რომ ჩვენთან დეფიციტური გახდა მტვირთავების, ლიანდაგების ელექტრომონტიორების, ხარატების, ზეინკლების, ელმავლის მემანქანეების, ბრიგადების შემდგენლების პროფესიები. დაბალია რკინიგზის აღჭურვის ტექნიკური დონეც. ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ რესპუბლიკისა და ქვეყნის სახალხო მეურნეობის მუშაობის რიტმის ნებისმიერი შეფერხება პირდაპირ გავლენას ახდენს გზის ფუნქციონირებაზე. ამჟამად საქართველოსა და სომხეთის მიმართულებით მატარებლები მოძრაობენ ადლერის გავლით — შექმნილ სიტუაციაში ეს ერთადერთი შესაძლო გზაა. და თუმცა ეს კიდევ უფრო ართულებს რესპუბლიკის მომარაგებას სახალხო სამეურნეო ტვირთით, დღეისათვის სხვა გამოსავალი არ არის.

თენგიზ ჩხიკვაძე,
საქინფორმის კორ.

სსრ კავშირის ფინანსთა
სამინისტროსა და
სსრ კავშირის
სახელმწიფო ბანკისაგან

ახალი სამახსოვრო მონეტა

1989 წლის 29 ნოემბრიდან მიმოქცევაში გამოვიდა ბალეტისადმი მიძღვნილი სამახსოვრო მონეტა.

25-მანეთიანი სამახსოვრო მონეტა მზადდება პალადიუმისაგან (ძვირფასი ლითონის წმინდა მასა 31,1 გრამია, შენადნობის სინჯი 999) და აქვს 37 მილიმეტრი დიამეტრის წრის ფორმა.

მონეტას შუბლსა და უკანსტარზე ირგვლივ გასდევს ამობურცული კანტი.

მონეტის შუბლზე ზემო ნაწილში გამოსახულია სსრ კავშირის სახელმწიფო გერბი და მის ქვემოთ წარწერილია „სსრკ", ხოლო ქვემო ნაწილში ორ სტრიქონად წერია მონეტის ღირებულება „25 მანეთი" და მის ქვემოთ მოჭრის წელი „1989".

მონეტის უკანსტარზე მოცეკვავე ბალერინის რელიეფური გამოსახულებაა, მისგან მარჯვნივ და მარცხნივ გარშემო წარწერილია „რუსული ბალეტი", მარჯვენა მხარეს წარწერის ქვემოთ ყვავილის რელიეფური გამოსახულებაა.

СССР
25
РУБЛЕЙ
1989
РУССКИЙ БАЛЕТ

სურათზე: მონეტის შუბლი და უკანსტარი.

საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

წარდგენილია „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრემიის" მოსაპოვებლად

უზნეობათა მკაცრი მხილება

კინოფილმზე „ეი, მაესტრო!" უკვე მეორეჯერ მიხდება წერა. პირველად, ფილმის ნახვის შემდეგ, ჩემი შთაბეჭდილებები გაზეთ „თბილისში" (8 თებერვალი, 1988 წ.) დავბეჭდე. ამჯერად წერილის დაწერის საბაბი ის გახდა, რომ ფილმის დამდგმელი რეჟისორი ნოდარ მანაგაძე, სცენარის ავტორები ერლომ ახვლედიანი და დავით ჯავახიშვილი, აგრეთვე მხატვარი გოგი მიქელაძე წარდგენილნი არიან „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრემიის" მოსაპოვებლად.

სანამ ფილმის გარჩევას შევუდგებოდე, ბარემ იმასაც ვიტყვი, რომ „ეი, მაესტრო!" არაა ის ერთადერთი ფილმი, სადაც პირველად შეხვდნენ ერთმანეთს ნ. მანაგაძე, ე. ახვლედიანი და დ. ჯავახიშვილი. მათი შემოქმედებითი თანამეგობრობა ჯერ კიდევ „ივანე კოტორაშვილის ამბავით" დაიწყო. ასევე ერთად იმუშავეს მათ „ამაღლებაზე". „ეი, მაესტრო!" მათი მესამე ერთობლივი ფილმია. ისინი ამჟამადაც ერთად მუშაობენ ორსერიიან მხატვრულ ფილმზე „ნოე". რაც შეეხება გ. მიქელაძეს, უდავოა, მისი წვლილი ფილმის საერთო წარმატებაში. ბნელისა და ნათელის, კეთილისა და ბოროტის, ზნეობრივისა და უზნეოს, ესთეტიკურისა და არაესთეტიკურის ის კონტრასტები, რომელზედაც არსებითად აგებულია ეს ფილმი, რეჟისორთან ერთად, მხატვრის შემოქმედების ნაყოფია და მისი, როგორც ხელოვნის, ნიჭიერებასა და პროფესიონალიზმზე მიუთითებს. აქვე იმასაც დავსძენთ, რომ გოგი მიქელაძე მრავალი სხვა ფილმის მხატვარიცაა, რომელთაგან მისი მაღალი პროფესიონალიზმის დასტურად მარტო „მონანიების"" დასახელებაც კი იკმარებდა.

„ეი, მაესტროს" თემა ხელოვნის ბედია მოუწესრიგებელ, მეშჩანურ, კონფორმისტულ საზოგადოებაში (არც ეს თემაა ახალი რეჟისორ ნოდარ მანაგაძისათვის. ამავე საკითხს ეძღვნება მისი „გაზაფხული გადის"). საზოგადოებაში, სადაც გამეფებულა კორუპცია, ქრთამი, უზნეობა და სადაც ნამდვილი და ჭეშმარიტი ხელოვნება მისი ერზაცით — ხელოსნობით შეცვლილა.

აქ, ამ გარემოში, მშვენიერებაც „გაბაზრებულია", მასაც დაკარგული აქვს თავისი ნამდვილი ფასი და ღირებულება. აკი ამიტომაა, რომ მუსიკალური საკრავების შესაკეთებელი სახელოსნო შიგ ბაზარშია გახსნილი, ხოლო ფორტეპიანოს ჟღერადობის ხარისხი გაცხარებული ყიდვა-გაყიდვის, ბაზრისათვის დამახასიათებელი ქოთქოთისა და აურზაურის ფონზე ისინჯება, ზუსტად იგივეზე მიგვანიშნებს ოჯახში მხოლოდ სამკაულად დადგმული საკრავები, რომლებზედაც არავინ უკრავს, ასევე სამკაულად ქცეული წიგნები, რომლებსაც არავინ კითხულობს და ა. შ.

ასეთ სიტუაციაში ე. ი. იქ, სადაც ავსა და კარგს, ჭეშმარიტსა და ყალბს, მრუდესა და მართალს, კეთილსა და ბოროტს, სამართლიანობასა და უსამართლობას, პატიოსნებასა და უპატიოსნებას განკითხვა, არა აქვს, ცხადია, ხდება ღირებულებათა იმდაგვარი გადაფასება, რომ ნამდვილისა და ჭეშმარიტის, კარგისა და კეთილის ადგილს მისი სუროგატი იჭერს ისე, როგორც კლასიკური მუსიკის ადგილს იჭერს მდარე და სრულიად უგემოვნო მუსიკა.

ერთი სიტყვით, სცენარისტთა და რეჟისორის იდეური ჩანაფიქრი ასეთია: ამგვარ გარემოში, გვეუბნებიან ისინი, მუსიკა მშვენიერების ხედვას, ესთეტიკური გემოვნების გამომუშავებას და ამ აზრით, ადამიანთა რაფინირებას, მათ სრულყოფას კი არ ემსახურება, არამედ მათ გალაღებას, განცხრომას, დროსტარებას ისახავს მიზნად.

რაკი ამ ადამიანებს „სხეული" დაუყენებიათ „სულზე" მაღლა, რაკი ისინი საკუთარ ბიოლოგიურ მოთხოვნილებათა მონებად ქცეულან, ცხადია, მათ დაუკარგავთ სულიერი სიწმინდე და სიფაქიზე, დაუკარგავთ ქრისტიანული სათნოება, ბრძნული მცნებებისადმი ერთგულება და თავიანთ კერპადა და სალოცავ ხატად ფული და სიმდიდრე უქცევიათ.

ერთი ასეთი „ადამიანი" როცა გაიგებს, რომ არჩილი (არჩილის როლს ფილმში ასრულებს ნიჭიერი პიანისტი თენგიზ ამირიძე, რომელმაც ფილმის მთავარი გმირის საინტერესო, მართალი და დასამახსოვრებელი სახე შექმნა) მუსიკოსია, ეუბნება: „აბა, ხელობა შენა გქონია. მე რომ მუზიკანტი ვიყო, დღედაღამ ქორწილში ვიქნებოდიო" ქვეტექსტი, რომელიც ამ სიტყვებში უნდა ამოვიკითხოთ, შემდეგია: მე რომ „მუზიკანტი" ვიყო, ბევრ ფულს გავაკეთებდიო.

ასეთ გარემოცვაში, ცხადია, მგლური კანონები მოქმედებენ და არა ადამიანური. ამიტომაა, რომ ამ ადამიანებისათვის უცხოა ქველმოქმედება, ურთიერთდახმარება, თანადგომა, მხარდაჭერა. ესენი გაუცხოებული ადამიანები არიან, რომლებიც მხოლოდ საკუთარ თავზე, საკუთარ კეთილდღეობაზე ფიქრობენ.

როგორც მსოფლიო კინოხელოვნების მრავალ ნაწარმოებში, აქაც, ამ ქართულ სურათშიც, ადამიანთა იმდაგვარი გაუცხოება-გადაგვარების პროცესია ასახული, როცა ადამიანთა მთელი მოთხოვნილებები და ინტერესები, საბოლოოდ ბიოლოგიურ მოთხოვნილებებზე, მატერიალურ კეთილდღეობასა და ეკონომიკურ სიძლიერეზე დაიყვანება. აქვე კარგადაა ნაჩვენები ისიც, თუ როგორ მკვიდრდება ადამიანებში მომხმარებლური ფსიქოლოგია და კერძომესაკუთრული ტენდენციები, როგორ ხდება ნივთთა გაფეტიშება და კერპად ქცევა. ამ თვალსაზრისით საუკეთესოა მანქანაზე შედგმული როიალი და მისი კარგ ჰამა-სმას გადაყოლილი პატრონების სცენა.

მართალია, არჩილი ახლა უბრალო ხელოსანია, მაგრამ მის სულის სიღრმეში მაინც ცხოვრობს ჭეშმარიტი ხელოვანი და სწორედ ამიტომ იგი უფრო მტკივნეულად განიცდის ხელოვნების „გაბაზრებას", შემოსავლის წყაროდ მის გადაქცევას.

რაკი არჩილის სულის სიღრმეში მაინც ზის ხელოვანი, მისი შინაგანი სამყარო უფრო რაფინირებული და წმინდაა, ვიდრე მისი გარემომცველი ადამიანებისა. ამიტომაც სხვებზე უფრო განიცდის მთელ იმ გულქვაობას, სიცივეს, მეშჩანობას, რაც მის ირგვლივ გაბატონებულა. სამაგიეროდ, რა ბავშვივით გაიხარებს, როცა შეხვდება ადამიანებს, რომელთაც სწამთ ხელოვნება, უყვართ სილამაზე და მშვენიერება. სამი მოხუცის — ელენეს, ლოლიტასა და ჯიბრაელის გარემოცვაში სრულიად შემთხვევით აღმოჩნდება არჩილი. რაც მათ გამოარჩევს სხვათაგან, გარდა მშვენიერებისა და სილამაზის სიყვარულისა, ურთიერთსითბო და ყურადღება, სულიერი სიწმინდე და ადამიანებისადმი მზრუნველი დამოკიდებულებაა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ, სადაც ნამდვილი ზნეობაა, იქ ნამდვილი ხელოვნებაც დაფასებულია და პირიქით, სადაც ზნეობა ირყვნება, იქ ხდება ხელოვნების „გაბაზრება", მისი გადაქცევა შემოსავლის წყაროდ.

მხოლოდ აქ, ამ სამ მოხუცს შორის იგრძნობს არჩილი თავს ლაღად, ბედნიერად, თავისუფლად. მხოლოდ აქ წარმოთქვამს იგი პირველად და თანაც გარკვეული სიამაყით. „მე მაესტრო ვარ"... და უკრავს... მაგრამ არა „შალახოსა" და „კინტაურს", არამედ კლასიკას... უკრავს მთელი გატაცებით.

ფილმის სცენარი მაშინ დაიწერა და გადაღებაც. მაშინ დაიწყო, როცა გარდაქმნაზე ჯერ მხოლოდ კანტიკუნტად ლაპარაკობდნენ. იქნებ ამიტომ მასში არავითარი ოპტიმისტური ნოტი არ ჟღერს. ფილმი საკმარისად მძიმე და სევდისმომგვრელია. იგი ცუდ გუნებაზე აყენებს მოაზროვნე მაყურებელს. ასეა თუ ისე, ფაქტი ერთია: ვისაც ჩვენი საზოგადოების ბედი აწუხებს, და ვისაც ჩვენი საზოგადოების წინსვლა უნდა, მან ამ სევდისმომგვრელ სიმართლესაც უნდა გაუსწოროს თვალი და მისი დაძლევის გზებზეც იფიქროს. ასე აღიქვა ეს ფილმი არა მარტო ჩვენმა საბჭოთა, არამედ საზღვარგარეთელმა მაყურებელმაც ამაში დაინახეს მისი დიდი აღმზრდელობითი როლი და მნიშვნელობა.

დასასრულ მინდა ვთქვა, რომ ფილმმა „ეი, მაესტრო!" უკვე მრავალი საერთაშორისო და საკავშირო კინოფესტივალი მოიარა და დამსახურებული წარმატებაც მოიპოვა. საკმარისია ითქვას, რომ სან-რემოს საავტორო ფილმების ფესტივალზე „ეი, მაესტრო!" სპეციალური პრიზი დაიმსახურა, ასევე პირველი პრიზი დაიმსახურა მან ბაქოს საკავშირო ფესტივალზე, ხოლო ვაშინგტონის მესამე საერთაშორისო ფესტივალზე მისი დიდი წარმატება სპეციალური დიპლომით აღინიშნა. ფილმი ნაჩვენები იყო გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ინგლისში, კანადაში და ა. შ.

ვუსურვოთ ფილმის შემქმნელ კოლექტივს ახალი შემოქმედებითი წარმატებები.

რევაზ ბალანჩივაძე,
ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

◆

სურათზე: კადრი ფილმისა „ეი, მაესტრო!"; მსახიობები მ. გონაშვილი და თ. ამირიძე.

რამაზ ლალიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართულმა მეცნიერებამ და საზოგადოებამ მძიმე დანაკლისი განიცადეს — უეცრად გარდაიცვალა გამოჩენილი მეცნიერი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პ. მელიქიშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი რამაზ მიტროფანეს ძე ლალიძე.

რამაზ ლალიძე დაიბადა 1918 წელს ქ. ქუთაისში ცნობილი საზოგადო მოღვაწისა და მეცენატის მიტროფანე ლალიძის ოჯახში. შრომითი საქმიანობა დაიწყო 1937 წლიდან. თავდაპირველად მუშაობდა ინჟინერ-ტექნოლოგად კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის სისტემაში. 1942 წელს წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, ხოლო 1952 წელს სადოქტორო. 1952 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე იგი ხელმძღვანელობდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პ. მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის ორგანული სინთეზის ლაბორატორიას.

რ. ლალიძე იყო მაღალი კვალიფიკაციის ქიმიკოს-ორგანიკოსი, წარმატებით მუშაობდა როგორც ბიოორგანული ქიმიის, ისე ნატიფი ორგანული სინთეზების დარგში. მისი ხელმძღვანელობით პირველად იყო ნაჩვენები აცეტილენური გამა გლიკოლების ფრიდელ-კრაფტსის ტიპის რეაქციის სინთეზებში წარმატებით ჩართვის პრინციპული შესაძლებლობა, რაც მანამდის პარადოქსულადაც კი შეიძლებოდა ყოფილიყო მიჩნეული. ამ გზით მიღებულია პოლიციკლური ნახშირწყალბადების სრულიად ახალი კლასი, ე. წ. ჩანაცვლებული დიბენზოპენტალანები, რომლებიც მსოფლიო ლიტერატურაში ცნობილია აგრეთვე „ლალიძის ნახშირწყალბადების" სახელწოდებით. მათი გამოყენებით საფუძველი ჩაეყარა დიბენზოპენტალანების ქიმიას. ორგანული ქიმიის ამ შედარებით ნაკლებად შესწავლილ დარგში დადგენილია რიგი მნიშვნელოვანი კანონზომიერებანი. მიღებულ ნაერთთა უმრავლესობა ხასიათდება საინტერესო ბიოლოგიური თვისებებით, რომლებიც სერიოზულ ყურადღებას იმსახურებენ ონკოლოგიის და მედიცინის სხვა დარგებში გამოყენების თვალსაზრისით.

რ. ლალიძეს ჩვენს ქვეყანაში და საზღვარგარეთ გამოქვეყნებული აქვს 200-მდე ფუნდამენტური და გამოყენებითი ხასიათის შრომა, მათ შორის ორი მონოგრაფია; მიღებული აქვს მრავალი საავტორო მოწმობა.

რ. ლალიძე იყო შესანიშნავი აღმზრდელი და პედაგოგი. 1952 წლიდან ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, სადაც მისი ხელმძღვანელობით სამეცნიერო მუშაობას ატარებდა მრავალი ახალგაზრდა მეცნიერი და სტუდენტი.

წავიდა ჩვენგან დიდი მეცნიერი, ფართო ერუდიციის ალიარებული მკვლევარი, მოღვაწე და მოქალაქე. მისი ნათელი სახე, საქმე და ნამოღვაწარი სამარადისოდ დარჩება მისი მეგობრების, კოლეგების და თანამშრომლების ხსოვნაში.

გ. გ. გუმბარიძე, ნ. ა. ჟიტანავა, ა. ი. პავშენცევი, გ. ნ. ენუქიძე, ბ. დ. მახარაშვილი, ვ. გ. ლორთქიფანიძე, ა. ნ. თავხელიძე, ა. მ. აფაქიძე, გ. ა. სანაძე, ი. ვ. ფრანგიშვილი, ლ. კ. გაბუნია, თ. გ. ანდრონიკაშვილი, თ. გ. გერიძე, მ. გ. გველესიანი, მ. მ. ზაალიშვილი, გ. ი. კვესიტაძე, ლ. დ. მელიქაძე, დ. შ. უგრეხელიძე, ე. პ. ქემერტელიძე, გ. ვ. ციციშვილი, გ. ვ. ჟირაქაძე, გ. ვ. ბერიძე, ჯ. ს. ზამბახიძე, ზ. ვ. უკლება.

მამული ვადაჭკორია

მამული ვადაჭკორია უეცრად გარდაიცვალა მაშინ, როცა მთლიანად გამოვლინდა მისი შემოქმედებითი ძალები და უნარი. იგი იყო პასუხისმგებლობით აღსავსე ადამიანი — პასუხისმგებელი საქმის, ოჯახის, ამხანაგების წინაშე, თავისი ხალხის სვე-ბედისათვის, მისი აზრით, იყო კომუნისტი, ნიშნავს იყო მოქალაქე და პატრიოტი, აკეთო ნამდვილი საქმე. იშვიათად თუ ვინმე გაუგებდა ისე ადამიანებს მათთვის ძნელ და სასიხარულო ჟამს, ისე დახმარებოდა, შეეკავშირებინა, ენერგიით დაემუხტა, როგორც ამას მამული ვადაჭკორია აკეთებდა.

მ. პ. ვადაჭკორია დაიბადა ფოთში 1945 წელს. მუშაობა დაიწყო 1963 წელს თბილისის სახეხი ჩარხების ქარხანაში. იყო მუშა, შემდეგ საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი. 1968 წელს, ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ამავე უმაღლესი სასწავლებლის უმცროს მეცნიერ თანამშრომლად, მანქანათმშენებლობისა და ელექტროტექნიკის საპროექტო-ტექნოლოგიური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგედ, ავტომატიკისა და ჰიდრავლიკის ცენტრალური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფილიალის უფროს მეცნიერ თანამშრომლად. ფილიალის კომუნისტები მრავალი წლის მანძილზე ირჩევდნენ მას პარტკომის მდივნად. აქ გახდა იგი ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატიც.

ბოლო ათი წელი მამული ვადაჭკორიამ პარტიულ მუშაობას მოახმარა: განაგებდა თბილისის ოქტომბრის რაიკომის მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილებას, იყო პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილების გამგის მოადგილე, პარტიის თბილისის ორჯონიკიძის რაიკომის მდივანი.

1986 წლის მარტიდან მამული ვადაჭკორიამ წელიწად-ნახევრით დატოვა რესპუბლიკა. ეს იყო მისი ცხოვრების განსაკუთრებული თვეები, რომლებზეც იგი იშვიათად ლაპარაკობდა, მაგრამ ეს პერიოდი სამუდამოდ დარჩა მის მეხსიერებაში — იგი ავღანეთში იყო ჯერ ლაზნის პროვინციაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პარტიულ მრჩევლად, შემდეგ ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების მრჩევლად. დაჯილდოვდა ხალხთა მეგობრობის ორდენით, ავღანეთში სსრ კავშირის საელჩოს საპატიო სიგელით და მედლებით.

ორი წლის წინათ მამული ვადაჭკორია დაამტკიცეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების პროპაგანდისა და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის სექტორის გამგედ, 1988 წლის დეკემბრიდან კი ხელმძღვანელობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის იდეოლოგიური განყოფილების იდეურ-პოლიტიკური მუშაობის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფის სექტორს.

მასში კარგად იყო შერწყმული ორგანიზატორისა და პოლიტიკური მუშაკის ნიჭი, მუდამ აღსავსე იყო ენერგიით, უნარი შესწევდა დაეცვა თავისი პრინციპული თვალსაზრისი, იშვიათად ღალატობდა სიტყვას, არასდროს იმედს არ უცრუებდა ამხანაგებს. იგი იყო მტკიცე პოლიტიკური მუშაკი, შესანიშნავი ადამიანი, მამა, ამხანაგი, პატრიოტი და ინტერნაციონალისტი ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით.

ძნელი დასაჯერებელია, რომ ვეღარ ვიგრძნობთ მის გულისხმიერებას, ზრდილობას, მომთხოვნელობას საკუთარი თავისა და მეგობრებისადმი.

მამული ვადაჭკორიას ხსოვნა სამუდამოდ დარჩება ყველას გულში, ვინც მას იცნობდა.

ამხანაგების ჯგუფი.

„პარტიული სიტყვა" № 21

დაისტამბა ჟურნალ „პარტიული სიტყვის" მორიგი, 21-ე ნომერი. იგი იხსნება სარედაქციო სტატიით „განახლება", რომელიც ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე ძირეულ გარდაქმნებს ეძღვნება.

საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის გამოქვეყნდა საქართველოს სსრ ეროვნული განვითარების კონცეფციის პროექტი. სწორედ ჩვენი რესპუბლიკის შემდგომი განვითარების პრობლემებს ეძღვნება სტატია „როგორი იქნები ხვალ, მამულო?", რომლის ავტორია საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი დ. არჩემაშვილი. ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის ავ-კარგზე მსჯელობს გ. ნებიერიძე წერილში „უნდა განვავრცოთ". ქობულეთის რაიონში ციტრუსოვანთა დამზადების ხარვეზებს ეხებოდა ჟურნალის ადრინდელ ნომრებში დაბეჭდილი რ. პაპავას წერილები. მკითხველთა მოთხოვნით რედაქციამ ქობულეთში მიავლინა თავისი ეკონომიკური მიმომხილველი ჭ. ელიზბარაშვილი. წერილი „სიმართლის კვალდაკვალ" სწორედ ამ მივლინების შედეგადაა დაწერილი.

გულიკო ფორჩხიძისა და ნოდარ ტალიაშვილის მრავალშვილიან ოჯახს აცნობს მკითხველთ ც. შავგულიძის წერილი „1+1=11".

მკითხველთა ფართო გამოხმაურება მოჰყვა ჟურნალის მე-14 ნომერში გამოქვეყნებულ ე. უბილავას სტატიას „ეროვნული გმირი?!" რამდენიმე მათგანი ამ ნომერშია დაბეჭდილი.

ჟურნალის ახალ ნომერში მკითხველი გაეცნობა საერთაშორისო მიმომხილველის, პროფესორ ნ. ნანიტაშვილის სტატიას „ახალი საფეხურის გაწმენდა", მოსკოვის ქორეოგრაფიული ინსტიტუტის სტუდენტის ეკა ბეზირგანის შთაბეჭდილებებს ამერიკაში მოგზაურობის შესახებ, ნ. ლებედინსკაიას ისტორიული რომანის „იბრძოლეთ თავისუფლებისათვის!" გაგრძელებას და ბევრ სხვა საინტერესო მასალას.

უცხოეთში

საკდესი იუწყება
29 ნოემბერი

იტალია: უდიდესი ინტერესით

რომი. „მარადიული ქალაქის" ყველაზე ხალხმრავალი ქუჩების მაღაზიების ვიტრინებში გაკრულია ნაირფერი პლაკატები, რომლებზეც რუსულად და იტალიურად წერია: „კეთილი იყოს თქვენი ჩამობრძანება, პრეზიდენტო გორბაჩოვ!".

ბევრს წერს ამ ვიზიტის შესახებ პრესა, ეროვნული ტელევიზია ემზადება შეხვედრის ცერემონიისა და იტალიაში მ. ს. გორბაჩოვის სტუმრობასთან დაკავშირებული სხვა ღონისძიებების პირდაპირი ტრანსლაციისათვის.

გორბაჩოვის ვიზიტი, თქვა იტალიის პარლამენტის დეპუტატთა პალატის თავმჯდომარემ ლეონილდე იოტიმ, ჩვენს ღრმა კმაყოფილებას იწვევს. ჩვენი ორი ქვეყნის ურთიერთობა მე ძალზე კარგად მიმაჩნია. ორივე მხარე ყოველ ღონეს ხმარობს ამ ურთიერთობის განსამტკიცებლად. და ეს გამოხატავს არა მარტო პროგრესული წრეების, არამედ მეწარმეების, ფართო საზოგადოებრიობის მისწრაფებას კიდევ უფრო გააფართოონ ურთიერთგაგება.

ლ. იოტის აზრით, ვიზიტს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან მიმდინარეობს იმ მომენტში, როდესაც აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობას განვითარების ახალი ეტაპი დაუდგა.

მსოფლიოს წამყვანი საინფორმაციო სააგენტოების, გაზეთებისა და ტელეკომპანიების წარმომადგენლები შეიკრიბნენ ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შენობაში, სადაც განლაგებულია პრესცენტრი საბჭოთა ხელმძღვანელის იტალიაში ოფიციალური ვიზიტის გასაშუქებლად.

აქ უკვე აკრედიტებულია ორი ათასზე მეტი ჟურნალისტი. პრესცენტრის ტექნიკური სამსახურები აღჭურვილია თანამედროვე საინფორმაციო სისტემებით, რომლებიც საშუალებას იძლევა თვალი ადევნონ მსოფლიოს წამყვანი ტელეკომპანიების პროგრამებს, დეპეშათა სააგენტოების ცნობებს, კერძოდ, სათანამგზავრო კავშირის მეშვეობით პრესცენტრის მონიტორებზე ეწყობა საბჭოთა ტელევიზიის გადაცემათა ტრანსლაცია.

მსოფლიო პრესის უდიდესი ინტერესი ამ მოვლენისადმი გამოწვეულია იმით, რომ ეს იქნება საბჭოთა სახელმწიფოსა და პარტიის მეთაურის პირველი ვიზიტი იტალიაში. საბჭოთა კავშირ-იტალიის მოლაპარაკება ხელს შეუწყობს ორმხრივი ურთიერთობის განვითარებას, კონსტრუქციულ თანამშრომლობას აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, საერთოევროპული სახლის მშენებლობას. ეს განაცხადეს აქ გამართულ პრესკონფერენციაზე რომში ჩამოსულმა საბჭოთა ექსპერტებმა. საერთოევროპული სახლის მშენებლობა, განაცხადეს პრესკონფერენციის მონაწილეებმა, ჰელსინკის პროცესის გაგრძელებაა, მისი ახალი საფეხურია. ახალი ევროპა გახსნილი იქნება ხალხებს შორის კონტაქტისათვის, მაშასადამე, საერთაშორისო ურთიერთობის არსებითი განახლებისათვის.

პრესკონფერენციაზე შეეხნენ აგრეთვე სსრ კავშირსა და ვატიკანს შორის ურთიერთობის საკითხს. აღინიშნა, რომ აქ ახალი ეტაპი შესაძლებელი გახდა სახელმწიფოებს შორის ურთიერთობაში იდეოლოგიური დატვირთვის აღმოფხვრის შედეგად. ახლა ორივე მხარე უპირატესობას ანიჭებს ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს.

● ინდოეთი

რაჯივ განდი გადადგა

დელი. ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა რაჯივ განდიმ ქვეყნის პრეზიდენტს რამასვამი ვენკატარამანს წარუდგინა თხოვნა მთავრობის გადადგომის შესახებ. ეს ნაბიჯი გადაიდგა, როცა ცხადი გახდა, რომ ინდოეთის ეროვნული კონგრესის (ი) მმართველი პარტია ვერ შეძლებს მიიღოს უმრავლესობა გასულ კვირაში გამართული საყოველთაო საპარლამენტო არჩევნების დროს, თუმცა ყველა პარტიას შორის ეყოლება ყველაზე დიდი ფრაქცია პარლამენტში. პრეზიდენტმა პრემიერ-მინისტრს სთხოვა განაგრძოს თავისი მოვალეობის შესრულება, სანამ ახალი მთავრობა შეიქმნებოდეს.

ოპოზიციური პარტიების ალიანსმა ეროვნულმა ფრონტმა, რომლის ბირთვს შეადგენს ჯანატა დალი, განაცხადა, რომ განზრახული აქვთ ჩამოაყალიბოს მთავრობა. თუმცა იგი კი ჩამორჩება ინდოეთის ეროვნულ კონგრესს (ი) მიღებული დეპუტატის ადგილების საერთო რაოდენობით, ეროვნული ფრონტის მხარდასაჭერად გამოდიან როგორც მემარცხენე პარტიები, ისე ბხარატია ჯანატა პარტი. დღეს ნაშუადღევს უნდა გაიმართოს ფრონტის საპარლამენტო ფრაქციის სხდომა, რომელზეც აირჩევენ მის ლიდერს, რომელიც გახდება პრემიერ-მინისტრის კანდიდატი. ძირითად პრეტენდენტად ასახელებენ ცნობილ პოლიტიკურ მოღვაწეს, ჯანატა დალის ლიდერს ვიშვანათხ პრატაპ სინგჰს.

● პოლონეთი

დესტაბილიზაციის საფრთხე

ვარშავა. სამშაბათს გამართულ სხდომაზე პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ სერიოზული წუხილი გამოთქვა პარტიის XI ყრილობის წინ პოლონეთის გაერთიანებულ მუშათა პარტიაზე მემარჯვენე ძალთა სულ უფრო მზარდი თავდასხმების გამო.

სხდომის მონაწილენი გაეცნენ ექსპერტების მიერ მომზადებულ პოლონეთში საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესების, მათ შორის პარტიის წინააღმდეგ პოლიტიკური და პროპაგანდისტული შეტევის ახლანდელი და მომავალში მოსალოდნელი მიმართულებების ანალიზს. აღინიშნა, რომ ისინი შეადგენენ მემარჯვენე ძალთა სტრატეგიული კონცეფციის შემადგენელ ნაწილს, რომლებიც ცდილობენ პოლონეთში წყობილების სწრაფად შეცვლას თავიანთი ინტერესების შესაბამისად. ეს პოლონეთში დესტაბილიზაციის საფრთხეს ქმნის.

პოლიტბიურომ დაადგინა სისტემატურად აცნობოს პარტიის წევრებს მემარჯვენე ძალების მიერ დაგეგმილი პოლიტიკური და პროპაგანდისტული მოქმედება, რომლის მიზანია პარტიის დასუსტება XI ყრილობის წინ. პოლიტბიურომ დაადგინა ამასთან დაკავშირებით გამოაქვეყნოს სპეციალური განცხადება.

ტელეტაიპის ლენტიდან

◆ **ვაშინგტონი. ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალებს განზრახული აქვთ კოსმოსში გაუშვან მრავალმიზნობრივი დანიშნულების კავშირგაბმულობისა და დაზვერვის მცირე ზომის თანამგზავრების ახალი თაობა.** ისინი განკუთვნილია საომარი მოქმედების ასპარეზზე გამოყენებისათვის. ამას იუწყება პენტაგონთან დაახლოებული გაზეთი „დიფენს ნიუსი".

◆ **პრაღა. ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ამოცანებს, რომლებიც ნაკარნახევია ქვეყანაში შექმნილი ახლანდელი რთული ვითარებით, მიეძღვნა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის საერთო სახელმწიფო აქტივის კრება.** პარტიის ცენტრალური კომიტეტის ახლად შექმნილმა პრეზიდიუმმა მოიწვია კომუნისტები მთელი რესპუბლიკიდან, რათა მათთან ერთად განეხილა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის რიგგარეშე ყრილობის მზადებასთან და საზოგადოების გარდაქმნის დაჩქარებასთან დაკავშირებული საკითხები.

◆ **ტოკიო. საშუალოდ 18,6 პროცენტით გაიზარდა მიწის ფასი იაპონიის ექვს უდიდეს ქალაქში — ტოკიოში, ოსაკაში, იოკოჰამაში, ნაგოიაში, კიოტოსა და კობეში უკანასკნელი ექვსი თვის მანძილზე.** განსაკუთრებით მკვეთრად — 20 პროცენტით, აღნიშნავს იაპონიის უძრავი ქონების საკითხთა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, გაიზარდა მიწის ნაკვეთების ღირებულება ოსაკაში, ქვეყნის ერთ-ერთ უდიდეს სავაჭრო-სამრეწველო ცენტრში.

● ინგლისი

მ. ტეტჩერის განცხადება

ლონდონი. ევროპის საზღვრების შეცვლის საკითხი დღის წესრიგში არ დგას. ასეთია დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა სახელმწიფოებისა და მთავრობების მეთაურთა საერთო თვალსაზრისი, რომელიც შემუშავებულია პარიზში გამართულ ამასწინანდელ შეხვედრაზე. ეს ტელეკომპანია ბი-ბი-სისათვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა მარგარეტ ტეტჩერმა.

ახლა გაცილებით უფრო საჭიროა, რომ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში დამკვიდრდეს დემოკრატია, რომ იქ შეიქმნას სამართლებრივი სახელმწიფოები, თქვა მან. როცა ეს მოხდება, მსოფლიო სულ სხვანაირი გახდება. უნდა გადავდგათ ფრთხილი ნაბიჯები, რათა ხელი არ შევუშალოთ სსრ კავშირსა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში მიმდინარე დემოკრატიულ პროცესებს. „თუ დემოკრატიამ გაიმარჯვა, ეს უდიდესი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობაში და მთელი მსოფლიოსათვის", — განაცხადა მ. ტეტჩერმა.

ბრიტანეთის მთავრობის მეთაურმა მხარი დაუჭირა ვარშავის ხელშეკრულების და „ძლიერი ნატოს", როგორც კონტინენტზე უშიშროებისა და სტაბილურობის ფაქტორების შენარჩუნებას. მან აღნიშნა, რომ საჭიროა მოლაპარაკება შეიარაღების შემცირების შესახებ და განაცხადა, რომ „არც ნატოს, არც სხვა მხარეს არავითარი ეჭვი არ უნდა ეპარებოდეს თავისი უშიშროების საიმედოობაში". მისი თქმით, ამ საკითხებზე მან იმსჯელა მ. ს. გორბაჩოვთან შეხვედრის წინ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ჯორჯ ბუშთან ამასწინანდელი მოლაპარაკების დროს.

იტალიის ქალაქებში

სურათებზე: ანტიკური ნანგრევები რომში; ქალაქ ფლორენციის ცენტრი.

საკდესის ფოტო.

სტიქია და ადამიანები

◆

დასახმარებლად ვერტმფრენი მოფრინდა

28 ნოემბერს დილა ფოთში შემოდგომისებურად ღრუბლიანი იყო, მაგრამ არცთუ ისე ცივი. საქმიანად დაიწყო სამუშაო დღე. უბედურებას არაფერი წინასწარმეტყველებდა. განვლილი წვიმების შემდეგ ადიდებული რიონიც ხმაურით მიაგორებდა ტალღებს შავი ზღვისაკენ. მდინარის შუაში რაბის მახლობლად მიწასაწოვი მუშაობდა, ფსკერს დანალექისაგან წმენდდა და თანაც ინერტულ მასალას ამზადებდა ზღვის სანაპიროს პლაჟის ზონისათვის.

ყველაფერი ერთ წუთში მოხდა. გაწყდა ბაგირები, რომლებიც მიწასაწოვს ამაგრებდნენ, მისი პონტონები ძლიერმა დინებამ უმალ შესართავისაკენ გაიტაცა. მიწასაწოვმა, რომელმაც უკვე მართვა დაკარგა, მასზე კი თორმეტი მუშა იმყოფებოდა, ჰიდროსისტემის მარეგულირებელი რაბი დააზიანა და მდინარის კალაპოტი გადაკეტა. პონტონებს ეხეთქებოდნენ ტალღები, სანახევროდ ჩაძირულიყო ხეები, რამდენიმე დღის წინათ ძლიერი წვიმების შედეგად აბობოქრებულ მდინარეს რომ მოეგლიჯა. ადამიანთა სიცოცხლეს საფრთხე შეექმნა. ერთ მეტრ სიმაღლეზე მომატებულმა წყალმა მდინარეს ძალა შემატა. მიწასაწოვთან მისვლა ნავებით ან კატარღებით შეუძლებელი გახდა.

უბედურებაში ჩავარდნილი ადამიანების დასახმარებლად საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველომ ჩვენი თხოვნით ვერტმფრინავი გაგზავნა, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ გივი ხომერიკმა. — ეკიპაჟის მარჯვე მოქმედების წყალობით ადამიანები გადაარჩინეს. ახლა საფრთხე აღარც მიწასაწოვს ელის. ოპერატიულადვე დაიწყო სარემონტო-აღდგენითი სამუშაოები.

(საქინფორმი).

ისევ ზვავები

ჟუახევი. („კომუნისტის" საკ. კორ.). გაზაფხულის ზვავებისაგან რაიონის მოსახლეობამ უდიდესი მატერიალური ზარალი განიცადა. და აი, შემოდგომის მიწურულს მოსული თოვლისა და კოკისპირული წვიმების შედეგად მთაში ისევ საგანგაშო მდგომარეობა შეიქმნა. სოფელ ტაკიძეებში ჩამოდის მდინარე ნაღვარევა, მდინარის ორივე მხარეს მოცურდა ფერდობი და ორ ოჯახს საფრთხე შეუქმნა, სახიფათო ზონიდან მოსახლეობა მაშინვე გახიზნეს. ვარაუდობენ, რომ იმავე სოფლის ჩრდილოეთ უბანში დაიმეწყრება ფერდობი, სადაც 15 ოჯახია დასახლებული.

ანალოგიური მდგომარეობაა მეზობელ სოფელ ახალდაბაში — მეწყერმა სასოფლო გზა წალეკა და საფრთხეში ჩააგდო ქარცივაძეების რამდენიმე ოჯახი. ზვავმა წაიღო ჰირნახულით სავსე სასიმინდე.

მსხვერპლი არ არის. მთავარი გზა უკვე აღადგინეს, ზომებს იღებენ მოსახლეობის გასახიზნავად.

ამინდი

დღეს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია მოღრუბლული ამინდი, ნალექი, მთებში თოვლი, უმეტეს რაიონებში ძლიერი, დასავლეთის ქარი 9-14, ზოგან 17-22 მეტრი წამში, გურიისა და აჭარის მთებში ზვავსაშიშროებაა, ტემპერატურა — ბარში ღამით 1-6, დღისით 3-8 გრადუსი სითბო, მთაში ღამით მინუს 4-პლუს 1, დღისით მინუს 2-პლუს 3, მაღალმთიანეთში ღამით 1-6 გრადუსი ყინვა, დღისით 0-მინუს 5 გრადუსი.

აღმოსავლეთ საქართველოში — ღამით ყველგან, დღისით ზოგან ნალექი თოვლის სახით, როკისა და ჯვრის უღელტეხილზე ზვავსაშიშროებაა, დასავლეთის ქარი 9-14, ალაგ-ალაგ 20-25 მეტრი წამში, ტემპერატურა — ბარში ღამით 1-6, დღისით 3-8 გრადუსი სითბო, მთებში ღამით მინუს 3-პლუს 2, დღისით მინუს 1-პლუს 4, მაღალმთიანეთში ღამით 0-მინუს 5, დღისით მინუს 3-პლუს 2 გრადუსი.

თბილისში: ღამით ნალექი, ჩრდილო-დასავლეთის ქარი 15-20, ქალაქის გარეუბანში 20-25 მეტრი წამში, ტემპერატურა — ღამით 3-5, დღისით 6-8 გრადუსი სითბო.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს პრეს-ჯგუფის ინფორმაცია

ვითარება ერთობ დაძაბულია სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — კვლავ აქვს ადგილი კონფლიქტურ სიტუაციებს ოს და ქართველ მოსახლეობას შორის. 23 ნოემბრიდან დღემდე ადგილი აქვს სხეულის დაზიანების, ხულიგნობის, იარაღის უკანონო ტარებისა და შენახვის შემთხვევებს. მდგომარეობას ართულებს ის გარემოებაც, რომ სერიოზული შეფერხებებია საწარმოებისა და დაწესებულებების, ტრანსპორტის მუშაობაში. ოსეთში შექმნილმა მდგომარეობამ დაძაბა ვითარება თბილისსა და რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში — იმართება ხალხმრავალი მიტინგები, რაც მნიშვნელოვან ზარალს აყენებს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობას.

შინაგან საქმეთა ორგანოები აკონტროლებენ არსებულ ვითარებას. დანაშაულობებთან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმეები, მიმდინარეობს გამოძიება, რომელსაც აწარმოებენ პროკურატურა და შინაგან საქმეთა ორგანოები. გრძელდება ახსნა-განმარტებითი და პროფილაქტიკური მუშაობა მოსახლეობაში პარტიული და საბჭოთა ორგანოების მხრიდან, აგრეთვე დიალოგი და ურთიერთშეთანხმებანი ქართველ და ოს ინტელიგენციას შორის. ვფიქრობთ, დადებითი შედეგი უნდა გამოიღოს არაფორმალური ორგანიზაციების ლიდერთა ურთიერთმოლაპარაკებამაც, რომელიც ამჟამად მიმდინარეობს.

ოლქის ტერიტორიიდან გამოყვანილია შინაგანი ჯარები და მილიციის გაძლიერებულ დანაყოფებთან ერთად ვითარებას აკონტროლებს თბილისის მილიციის პოლკის ნაწილი. შექმნილია ოპერატიული შტაბი, რომელსაც ხელმძღვანელობენ რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი მუშაკები ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებთან ერთად.

შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, რესპუბლიკის საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ხელმძღვანელების, ახალგაზრდობის, ოლქის ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველი და ოსი მოსახლეობის უმთავრესი მოვალეობაა გამოიჩინონ წინდახედულება, თავშეკავება, ნუ აჰყვებიან ჭორებსა და მითქმა-მოთქმას, შინაგან საქმეთა ორგანოებმა არა და არ უნდა დაუშვან მართლსაწინააღმდეგო მოქმედებანი, რათა დროულად დაამყარდეს სათანადო წესრიგი ოლქის ტერიტორიაზე, და შემდეგ მშვიდობიან ატმოსფეროში გადაიჭრას ის მწვავე პრობლემები, რაც აღელვებს რესპუბლიკის საზოგადოებრიობას.

ყველაფერი უნდა ვიღონოთ საიმისოდ, რომ საღმა აზრმა გაიმარჯვოს, სწორად შეფასდეს მოვლენები, ერთობლივი ძალისხმევით დროულად დამყარდეს ოლქში სასურველი საზოგადოებრივი წესრიგი.

სპორტის ამბები

ძიუდო

კიდევ ერთი ჩემპიონი

ათენში დამთავრდა ევროპის ჩემპიონატი ახალგაზრდებს შორის. გუშინ გაცნობეთ, რომ მძიმე წონაში გაიმარჯვა ქუთაისელმა დავით ხახალეიშვილმა, თბილისელმა დავით ბაგაურმა (86 კგ) კი ბრინჯაოს მედალი მიიღო. მოვიდა ახალი ცნობაც: შეჯიბრების ბოლო დღეს წარმატებას მიაღწია სოხუმელმა ვლადიმერ დგებუაძემ, რომელიც ჩემპიონი გახდა 71 კგ წონით კატეგორიაში.

ათენში გამართულმა ჩემპიონატმა კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ ქართულ ძიუდოს საიმედო ცვლა ეზრდება. სხვათა შორის, აქ დასახელებული მოჭიდავეები ბოლო დროს აქტიურად მონაწილეობენ მოზრდილთა ტურნირებში და საკმაოდ წარმატებითაც.

ჭადრაკი

ლიდერობენ იუგოსლავები

ისრაელში გრძელდება ევროპის გუნდური ჩემპიონატი ვაჟთა შორის. მეხუთე ტურში საბჭოთა მოჭადრაკეებმა ანგარიშით 4,5:1,5 დაამარცხეს დასავლეთ გერმანიის გუნდი. შეჯიბრების ლიდერებმა იუგოსლავებმა მოუგეს ბულგარელებს — 3,5:2,5 და ახლა 21,5 ქულა აქვთ. საბჭოთა ნაკრები 19 ქულით მეორე ადგილზეა. 18,5 ქულა მოაგროვეს ინგლისელებმა, რომლებმაც მეხუთე ტურში უნგრეთის ნაკრები დაამარცხეს — 3,5:2,5. სხვა გუნდების სატურნირო მდგომარეობა ასეთია: საფრანგეთი — 18 ქულა, ბულგარეთი — 17,5, უნგრეთი და საბერძნეთი — 17-17, ისრაელი, ჩეხოსლოვაკია და ფინეთი — 16,5-16,5.

ჩოგბურთი

უძლიერესთა ტურნირი

ნიუ-იორკის ცნობილ სპორტულ კომპლექსში „მედისონ სკვერ გარდენში" დაიწყო დიდი საერთაშორისო ტურნირი — „მასტერსი", რომელშიც 1989 წლის სეზონის 8 უძლიერესი ჩოგბურთელი მონაწილეობს. ჯერ მოეწყობა შეხვედრები ორ ჯგუფში წრიული სისტემით, შემდეგ ჯგუფებში პირველ-მეორე ადგილებზე გასულები ბრძოლას გააგრძელებენ მთავარი პრიზისათვის.

კორტზე პირველნი გამოვიდნენ შვედი სტეფან ედბერგი და ამერიკელი ანდრეას აგასი. დამაჯერებლად გაიმარჯვა ედბერგმა — 6:4, 6:2. მსოფლიოს უძლიერესმა ჩოგბურთელმა, ჩეხოსლოვაკიელმა ივან ლენდლმა აჯობა 17 წლის მაიკლ ჩანგს (აშშ) — 6:1, 6:3 და რევანში აიღო საფრანგეთის ღია ჩემპიონატში მარცხისათვის. ყველაზე დაძაბული გამოდგა დასავლეთგერმანელი ბორის ბეკერისა და ამერიკელი ბრედ ჯილბერტის შეხვედრა. ჯილბერტს აქამდე არაერთხელ დაუმარცხებია მსოფლიოს № 2 ჩოგბურთელი, მაგრამ ამჯერად ბეკერმა მოუგო — 2:6, 6:2, 6:4.

„მასტერსის" ტურნირში ყველაზე მეტი გამარჯვება (ხუთი) ლენდლს აქვს მოპოვებული. სამჯერ უძლიერესი იყო ჯონ მაკინროუ (აშშ). „მასტერსის" ახალი ჩემპიონი 3 დეკემბერს გამოვლინდება.

უშუ საქართველოში

28 ნოემბერს, თბილისში გაიმართა უშუს საქართველოს ფედერაციის დამფუძნებელი კონფერენცია, რომელსაც 175 დელეგატი ესწრებოდა. მონაწილეთა შორის იყვნენ უშუს ჩვენში გავრცელებული თითქმის ყველა სკოლის წარმომადგენლები. კონფერენციამ მოისმინა მოხსენება და დაამტკიცა წესდება. წესდებაში აღნიშნულია, რომ უშუს საქართველოს ფედერაციის ძირითადი ამოცანებია უშუს პოპულარიზაცია, ცალკეული სკოლების მუშაობის კოორდინაცია და საქართველოს წარმომადგენლობის უზრუნველყოფა საერთაშორისო ტურნირებზე.

უშუს საქართველოს ფედერაციის პრეზიდენტად კონფერენციამ ერთხმად აირჩია გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიის" რედაქტორი ვახტანგ აბაშიძე. აღინიშნა ის მხარდაჭერა და დახმარება, რომელიც საინიციატივო ჯგუფს გაუწია საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა.

დავით დემეტრაშვილი,
საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის და უშუს საქართველოს ფედერაციის წევრი.

რედაქტორი
ნ. ჩერქეზიშვილი.

გაზეთ „კომუნისტის" რედაქციის კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გაზეთის საკუთარი კორესპონდენტი

ვაჟა ბენიამინის ძე ჩაჩიბაია

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ტელევიზია—ხუთშაბათი, 30 ნოემბერი

თბილისი

პირველი პროგრამა. 13.00 — ნაშუადღევს. 13.50 — მასწავლებლის საათი. ინფორმატიკის და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლები. 14.20 — ათლეტიზმი. 14.50 — აბიტურიენტთათვის. ბიოლოგია. 15.20 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმები „მთა მთას ესაუბრება" და „ქარი ავსებს აფრებს". 15.55 — საინფორმაციო გამოშვება. 16.05 — ტელეკურსელთათვის. საშინაო დავალების ანალიზი ქართულ ენასა და ლიტერატურაში. 16.35 — დოკუმენტური ფილმი „იური ლიუბიმოვი — 5 წლის შემდეგ" (პირველი ჩვენება). 16.55 — განცხადებები. 17.00 — საქართველოს საფეხბურთო მიმოხილვა. 17.45 — მოსწავლეთათვის. „ჩვენი სადისკუსიო კლუბი". 18.45 — ქართული ლიტერატურის ისტორია. 19.10 — „სახალხო კონტროლის ეკრანი". 19.45 — ძილისპირული. 20.00 — მოამბე. 20.35 — საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობისათვის. 20.55 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „სათავეებთან". გიორგი ნიორაძე. 21.15 — სატელევიზიო პროგრამა „ახალგაზრდობა". 22.00 — „ვრემია". 22.50 — „მეს-ხი, მეს-ხი, მეს-ხი...". 23.20 — პირველად ჩვენს ეკრანზე. მხატვრული ფილმი „ასა". მეორე სერია.

მეორე პროგრამა. 17.05 — მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმი „სათვალთვალო მილი". 17.25 — მასწავლებლის საათი. რუსული ენა. 18.10 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 18.35 — მხატვრული ფილმი „ბალადა ჯარისკაცზე". 20.00 — მოამბე. 20.35 — მხატვრული ფილმი „სანამ დავშორდებოდეთ".

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 7.30 — „120 წუთი". 9.35 — ფილმ-კონცერტი. 10.20 — საფეხურები. 11.50 — ბავშვის საათი (ინგლისური ენის გაკვეთილითურთ). 12.50 — მუსიკალური ტელეფილმი „ასაფ მესერერი". 16.30 — რელიგია და საზოგადოება. 17.00 — კინონარკვევი ბენინის სახალხო რესპუბლიკაზე. 17.20 — ტელეჟურნალი „აგრო". 17.50 — აღორძინების ეპოქის ცეკვები. 18.35 — მულტფილმი „კოსმოსური ზღაპარი". 18.45 — „სხვისი ქირი არ არსებობს". ვ. პოზნერი წარმოგვიდგენს გადაცემას „ფილ დონაჰიუ და ბავშვები". 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — ძალაუფლება საბჭოებს. 20.35 — მოკავშირე რესპუბლიკათა კინოხელოვნება. პროვინციული კინო. სვერდლოვსკის კინოსტუდია. 22.00 — „ვრემია". 22.50 — საერთაშორისო ფესტივალი „საფეხურები პარნასისაკენ". 0.10 — დღეს მსოფლიოში. 0.25 — „საფეხურები პარნასისაკენ". ტელეფესტივალის გაგრძელება.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 და 12.15 — ალმანახი „ბუნების საიდუმლოებანი". 9.35 და 10.45 — ბუნებისმეტყველება. IV კლასი. 9.55 და 11.05 — ესპანური ენა. 10.25 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „პოეტი და რევოლუცია". 11.35 და 12.35 — ფიზიკა. VIII კლასი. 12.05 და 18.00 — ახალი ამბები. 13.05 — მხატვრული ტელეფილმი „სადღაც ქუხს ომი". III სერია. 14.15 — დოკუმენტური ტელეფილმი „პოეზია უსიტყვოდ" (თბილისი). 14.45 — წყაროები. 18.10 — განმეორებითი ტელეფილმის სეანსი. „ნიკოლო პაგანინი". IV სერია. 19.20 — აგროსამრეწველო კომპლექსი: გამოცდილება, პრობლემები, გადაწყვეტა. 19.50 — მულტიპლიკაციური ფილმი. 20.00 და 21.15 — არენა. 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!". 22.00 — „ვრემია". 22.50 — ა. პ. ჩეხოვის ნაწარმოებთა ეკრანიზაცია. „ანა კისერზე". 0.15 — ახალი ამბები.

ნახეთ, ხომ არ მოგიგიათ?

ოფიციალური ცხრილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ ფულისა და ნივთების 1989 წლის მეცხრე გამოშვების ლატარიის მოგებათა ტირაჟი გაიმართა 1989 წლის 25-26 ნოემბერს ქ. ქუთაისში. ტირაჟში გათამაშდა 360.000 მანეთის 179 ნივთმოგება და 199.821 ფულადი მოგება. მოგება ხვდა, ლატარიის ბილეთების შემდეგ სერიებსა და ნომრებს:

სერიის №	ბილეთის №	მოგებული ნივთის დასახელება ან ფულადი მოგების ოდენობა	მოგებული ნივთის ფულადი ღირებულება
032006	258*)	ხალიჩა	490—00
032010	019*)	20 მანეთი	—
032013	386*)	მაგნიტორადიოლა „ევრიკა"	250—00
032024	241*)	20 მანეთი	—
032030	462*)	20 მანეთი	—
032042	1-500	15 მანეთი	—
032043	366*)	100 ლატარიის ბილეთი	30—00
032047	499*)	მტვერსასრუტი	25—00
032058	262*)	100 ლატარიის ბილეთი	30—00
032063	370*)	30 მანეთი	—
032067	320*)	მაცივარი „ზილი"	370—00
032088	408*)	50 მანეთი	—
032095	171*)	30 მანეთი	—
032098	461*)	100 ლატარიის ბილეთი	30—00
032104	196*)	100 ლატარიის ბილეთი	30—00
032107	014*)	20 მანეთი	—
032118	067*)	მაცივარი „ზილი"	370—00
032138	247*)	20 მანეთი	—
032181	348*)	30 მანეთი	—
032185	182*)	მტვერსასრუტი	25—00
032186	389*)	500 მანეთი	—
032199	416*)	მაცივარი „ზილი"	370—00
032204	361*)	100 ლატარიის ბილეთი	30—00
032205	395*)	50 მანეთი	—
032209	185*)	100 ლატარიის ბილეთი	30—00
032228	080*)	100 ლატარიის ბილეთი	30—00
032229	242*)	30 მანეთი	—
032241	434*)	20 მანეთი	—
032247	090*)	20 მანეთი	—
032255	021*)	100 ლატარიის ბილეთი	30—00
032267	125*)	24 მანეთი	—
032275	425*)	მტვერსასრუტი	25—00
032279	088*)	მაცივარი „ზილი"	370—00
032282	009*)	მაცივარი „ზილი"	370—00
032305	092*)	ხალიჩა	490—00
032313	389*)	ავტომანქანა „ჟიგული-21063"	9000—00
032334	065*)	20 მანეთი	—
032353	170*)	30 მანეთი	—
032358	151*)	ყავის ელექტროსაფქვავი	14—00
032374	469*)	საკერავი მანქანა „ჩაიკა"	252—00
032375	493*)	75 მანეთი	—
032381	058*)	30 მანეთი	—
032389	285*)	ელექტროხორცსაკეპი	25—00
032411	082*)	ელექტროხორცსაკეპი	25—00
032415	447*)	100 ლატარიის ბილეთი	30—00
032424	394*)	20 მანეთი	—
032452	451*)	20 მანეთი	—
032467	342*)	მაგნიტორადიოლა „ევრიკა"	250—00
032483	065*)	50 მანეთი	—
032496	194*)	საკერავი მანქანა „ჩაიკა"	252—00
032497	479*)	ყავის ელექტროსაფქვავი	14—00
032503	190*)	100 ლატარიის ბილეთი	30—00
032520	405*)	100 მანეთი	—
032536	299*)	25 მანეთი	—
032558	377*)	30 მანეთი	—
032577	075*)	30 მანეთი	—
032588	098*)	ყავის ელექტროსაფქვავი	14—00
032592	199*)	25 მანეთი	—
032598	265*)	25 მანეთი	—
032608	146*)	მტვერსასრუტი	25—00
032615	191*)	100 ლატარიის ბილეთი	30—00
032621	280*)	ყავის ელექტროსაფქვავი	14—00
032629	028*)	20 მანეთი	—
032640	440*)	მაგნიტორადიოლა „ევრიკა"	250—00
032647	088*)	20 მანეთი	—
032669	248*)	20 მანეთი	—
032681	175*)	საკერავი მანქანა „ჩაიკა"	252—00
032685	144*)	30 მანეთი	—
032687	184*)	მტვერსასრუტი	25—00
032705	412*)	20 მანეთი	—
032709	345*)	100 ლატარიის ბილეთი	30—00
032731	189*)	20 მანეთი	—
032738	114*)	20 მანეთი	—
032740	396*)	ყავის ელექტროსაფქვავი	14—00
032741	015*)	50 მანეთი	—
032757	276*)	100 ლატარიის ბილეთი	30—00
032771	086*)	30 მანეთი	—
032788	225*)	100 ლატარიის ბილეთი	30—00
032799	074*)	20 მანეთი	—
032803	020*)	ელექტროხორცსაკეპი	25—00
032805	064*)	მტვერსასრუტი	25—00
032814	387*)	20 მანეთი	—
032825	476*)	100 ლატარიის ბილეთი	30—00
032831	100*)	ელექტროხორცსაკეპი	25—00
032835	369*)	100 ლატარიის ბილეთი	30—00
032845	118*)	ელექტროხორცსაკეპი	25—00
032866	481*)	მაცივარი „ზილი"	370—00
032872	209*)	25 მანეთი	—
032884	308*)	20 მანეთი	—
032941	208*)	20 მანეთი	—
032942	210*)	20 მანეთი	—
032944	461*)	100 ლატარიის ბილეთი	30—00
032946	250*)	20 მანეთი	—
032954	015*)	20 მანეთი	—
032972	285*)	25 მანეთი	—
032974	387*)	ელექტროხორცსაკეპი	25—00
033000	348*)	20 მანეთი	—
033001	049*)	მაცივარი „ზილი"	370—00
033007	191*)	20 მანეთი	—
033017	309*)	მტვერსასრუტი	25—00
033020	288*)	100 ლატარიის ბილეთი	30—00
033032	214*)	30 მანეთი	—
033034	362*)	ყავის ელექტროსაფქვავი	14—00
033038	132*)	20 მანეთი	—
033082	366*)	20 მანეთი	—
033084	061*)	100 ლატარიის ბილეთი	30—00
033087	179*)	30 მანეთი	—
033099	358*)	ავტომანქანა „ჟიგული-21063"	9000—00
033107	149*)	მაცივარი „მინსკი"	455—00
033132	069*)	20 მანეთი	—
033139	160*)	30 მანეთი	—
033143	382*)	20 მანეთი	—
033151	148*)	30 მანეთი	—
033155	440*)	ავტომანქანა „ჟიგული-21063"	9000—00
033159	485*)	მაგნიტორადიოლა „ევრიკა"	250—00
033181	302*)	30 მანეთი	—
033202	067*)	30 მანეთი	—
033212	295*)	20 მანეთი	—
033215	189*)	100 ლატარიის ბილეთი	30—00
033229	175*)	30 მანეთი	—
033230	388*)	20 მანეთი	—
033298	450*)	30 მანეთი	—
033304	095*)	25 მანეთი	—
033305	424*)	20 მანეთი	—
033344	399*)	100 ლატარიის ბილეთი	30—00
033345	197*)	მტვერსასრუტი	25—00
033352	293*)	20 მანეთი	—
033358	314*)	20 მანეთი	—
033378	266*)	მტვერსასრუტი	25—00
033381	267*)	ელექტროხორცსაკეპი	25—00
033390	427*)	20 მანეთი	—
033395	051*)	100 ლატარიის ბილეთი	30—00
033396	182*)	30 მანეთი	—
033414	482*)	20 მანეთი	—
033421	127*)	100 ლატარიის ბილეთი	30—00
033430	025*)	20 მანეთი	—
033441	414*)	30 მანეთი	—
033444	447*)	30 მანეთი	—
033445	364*)	100 ლატარიის ბილეთი	30—00
033449	054*)	24 მანეთი	—
033451	269*)	40 მანეთი	—
033456	468*)	100 ლატარიის ბილეთი	30—00
033465	226*)	25 მანეთი	—
033468	487*)	100 ლატარიის ბილეთი	30—00
033479	323*)	20 მანეთი	—
033497	119*)	30 მანეთი	—
033499	477*)	50 მანეთი	—
033511	412*)	ყავის ელექტროსაფქვავი	14—00
033539	168*)	30 მანეთი	—
033542	438*)	30 მანეთი	—
033553	293*)	50 მანეთი	—
033555	137*)	ყავის ელექტროსაფქვავი	14—00
033573	165*)	ავტომანქანა „ჟიგული-21063"	9000—00
033576	469*)	100 ლატარიის ბილეთი	30—00
033577	154*)	მტვერსასრუტი	25—00
033609	208*)	მტვერსასრუტი	25—00
033630	473*)	100 ლატარიის ბილეთი	30—00
033640	001*)	20 მანეთი	—
033646	091*)	ელექტროხორცსაკეპი	25—00
033654	391*)	ყავის ელექტროსაფქვავი	14—00
033681	050*)	100 ლატარიის ბილეთი	30—00
033693	145*)	ავტომანქანა „ჟიგული-21063"	9000—00
033695	177*)	100 ლატარიის ბილეთი	30—00
033696	152*)	50 მანეთი	—
033699	355*)	30 მანეთი	—
033709	203*)	20 მანეთი	—
033712	187*)	იმპორტული ავეჯის გარნიტური	2125—00
033726	301*)	30 მანეთი	—
033728	088*)	30 მანეთი	—
033749	426*)	24 მანეთი	—
033750	060*)	30 მანეთი	—
033752	281*)	მაცივარი „მინსკი"	455—00
033758	290*)	100 ლატარიის ბილეთი	30—00
033760	175*)	100 ლატარიის ბილეთი	30—00
033768	228*)	40 მანეთი	—
033778	377*)	მაგნიტორადიოლა „ევრიკა"	250—00
033794	238*)	100 ლატარიის ბილეთი	30—00
033803	138*)	30 მანეთი	—
033805	164*)	ყავის ელექტროსაფქვავი	14—00
033811	261*)	20 მანეთი	—
033819	494*)	საკერავი მანქანა „ჩაიკა"	252—00
033842	178*)	ავტომანქანა „ჟიგული-21063"	9000—00
033848	081*)	100 ლატარიის ბილეთი	30—00
033858	218*)	ელექტროხორცსაკეპი	25—00
033860	298*)	100 ლატარიის ბილეთი	30—00
033891	1-500	10 მანეთი	—
033893	291*)	30 მანეთი	—
033894	454*)	მტვერსასრუტი	25—00
033903	458*)	100 ლატარიის ბილეთი	30—00
033909	027*)	100 ლატარიის ბილეთი	30—00
033912	001*)	საკერავი მანქანა „ჩაიკა"	252—00
033916	283*)	30 მანეთი	—
033938	464*)	100 ლატარიის ბილეთი	30—00
033946	281*)	30 მანეთი	—
033949	264*)	25 მანეთი	—
033956	410*)	100 ლატარიის ბილეთი	30—00
033970	011*)	100 ლატარიის ბილეთი	30—00
033981	385*)	100 ლატარიის ბილეთი	30—00
033984	056*)	50 მანეთი	—
033988	389*)	25 მანეთი	—
034027	488*)	100 ლატარიის ბილეთი	30—00
034029	457*)	100 ლატარიის ბილეთი	30—00
034032	311*)	30 მანეთი	—
034051	325*)	100 ლატარიის ბილეთი	30—00
034058	171*)	მაცივარი „ზილი"	370—00
034067	088*)	მაცივარი „მინსკი"	455—00
034085	1-500	15 მანეთი	—
034135	235*)	50 მანეთი	—
034141	383*)	20 მანეთი	—
034148	295*)	100 ლატარიის ბილეთი	30—00
034151	342*)	მაცივარი „ზილი"	370—00
034155	461*)	20 მანეთი	—
034170	1-500	10 მანეთი	—
034177	269*)	ყავის ელექტროსაფქვავი	14—00
034187	348*)	100 ლატარიის ბილეთი	30—00
034189	420*)	75 მანეთი	—
034194	485*)	ხალიჩა	490—00
034211	419*)	25 მანეთი	—
034241	104*)	20 მანეთი	—
034247	208*)	მაცივარი „მინსკი"	455—00
034259	426*)	30 მანეთი	—
034269	318*)	30 მანეთი	—
034273	130*)	100 ლატარიის ბილეთი	30—00
034277	128*)	50 მანეთი	—
034284	235*)	100 ლატარიის ბილეთი	30—00
034301	110*)	100 ლატარიის ბილეთი	30—00
034317	078*)	30 მანეთი	—
034334	281*)	30 მანეთი	—
034340	377*)	24 მანეთი	—
034348	181*)	20 მანეთი	—
034355	151*)	20 მანეთი	—
034360	281*)	75 მანეთი	—
034378	108*)	50 მანეთი	—
034398	210*)	25 მანეთი	—
034408	379*)	ყავის ელექტროსაფქვავი	14—00
034428	174*)	100 ლატარიის ბილეთი	30—00
034430	310*)	30 მანეთი	—
034442	118*)	24 მანეთი	—
034458	110*)	100 ლატარიის ბილეთი	30—00
034464	127*)	100 ლატარიის ბილეთი	30—00
034496	295*)	20 მანეთი	—
034511	372*)	25 მანეთი	—
034537	150*)	25 მანეთი	—
034544	041*)	20 მანეთი	—
034551	399*)	20 მანეთი	—
034554	359*)	50 მანეთი	—
034573	069*)	20 მანეთი	—
034577	227*)	30 მანეთი	—
034585	085*)	მაცივარი „ზილი"	370—00
034591	277*)	100 ლატარიის ბილეთი	30—00
034607	376*)	ყავის ელექტროსაფქვავი	14—00
034608	348*)	ყავის ელექტროსაფქვავი	14—00
034611	171*)	ელექტროხორცსაკეპი	25—00
034655	458*)	20 მანეთი	—
034656	311*)	20 მანეთი	—
034657	017*)	20 მანეთი	—
034668	150*)	30 მანეთი	—
034672	308*)	30 მანეთი	—
034678	184*)	მტვერსასრუტი	25—00
034681	157*)	20 მანეთი	—
034687	103*)	20 მანეთი	—
034698	178*)	20 მანეთი	—
034701	087*)	25 მანეთი	—
034706	478*)	100 ლატარიის ბილეთი	30—00
034713	076*)	20 მანეთი	—
034714	078*)	20 მანეთი	—
034754	367*)	20 მანეთი	—
034782	19[illegible]*)	20 მანეთი	—
034784	300*)	30 მანეთი	—
034808	072*)	50 მანეთი	—
034814	215*)	30 მანეთი	—
034834	397*)	100 ლატარიის ბილეთი	30—00
034840	171*)	30 მანეთი	—
034874	489*)	100 ლატარიის ბილეთი	30—00
034877	385*)	100 ლატარიის ბილეთი	30—00
034887	357*)	50 მანეთი	—
034889	140*)	100 ლატარიის ბილეთი	30—00
034892	102*)	50 მანეთი	—
034935	076*)	მტვერსასრუტი	25—00
034936	168*)	20 მანეთი	—
034960	295*)	25 მანეთი	—
034970	449*)	100 მანეთი	—
034972	470*)	ავტომანქანა „ჟიგული-2108"	8400—00
034988	017*)	ყავის ელექტროსაფქვავი	14—00
034998	160*)	20 მანეთი	—
035002	043*)	100 ლატარიის ბილეთი	30—00
035024	419*)	20 მანეთი	—
035025	016*)	ავტომანქანა „ჟიგული-2108"	8400—00
035039	138*)	100 ლატარიის ბილეთი	30—00
035055	178*)	50 მანეთი	—
035064	253*)	25 მანეთი	—
035066	497*)	30 მანეთი	—
035071	324*)	30 მანეთი	—
035079	312*)	30 მანეთი	—
035081	170*)	ელექტროხორცსაკეპი	25—00
035098	329*)	75 მანეთი	—
035100	026*)	მტვერსასრუტი	25—00
035106	284*)	100 ლატარიის ბილეთი	30—00
035109	021*)	20 მანეთი	—
035117	168*)	ელექტროხორცსაკეპი	25—00
035118	187*)	100 ლატარიის ბილეთი	30—00
035125	294*)	30 მანეთი	—
035132	354*)	ელექტროხორცსაკეპი	25—00
035138	450*)	100 ლატარიის ბილეთი	30—00
035142	104*)	30 მანეთი	—
035156	460*)	25 მანეთი	—
035166	034*)	20 მანეთი	—
035173	371*)	20 მანეთი	—
035182	056*)	30 მანეთი	—
035184	328*)	24 მანეთი	—
035194	303*)	ელექტროხორცსაკეპი	25—00
035215	352*)	100 ლატარიის ბილეთი	30—00
035217	155*)	საკერავი მანქანა „ჩაიკა"	252—00
035220	461*)	მტვერსასრუტი	25—00
035221	203*)	მაგნიტორადიოლა „ევრიკა"	250—00
035230	255*)	100 ლატარიის ბილეთი	30—00
035232	196*)	30 მანეთი	—
035246	361*)	20 მანეთი	—
035249	093*)	ელექტროხორცსაკეპი	25—00
035258	280*)	100 ლატარიის ბილეთი	30—00
035265	392*)	ავტომობილი „ჟიგული-21063"	9000—00
035276	447*)	50 მანეთი	—
035277	274*)	100 ლატარიის ბილეთი	30—00
035291	411*)	30 მანეთი	—
035301	235*)	ელექტროხორცსაკეპი	25—00
035303	114*)	მტვერსასრუტი	25—00
035309	090*)	20 მანეთი	—
035314	188*)	100 ლატარიის ბილეთი	30—00
035328	483*)	30 მანეთი	—
035341	067*)	25 მანეთი	—
035346	012*)	20 მანეთი	—
035353	222*)	ავტომობ. „ვოლგა გაზ-24-10"	16400—00
035356	249*)	100 ლატარიის ბილეთი	30—00
035358	314*)	30 მანეთი	—
035360	279*)	40 მანეთი	—
035364	012*)	30 მანეთი	—
035387	294*)	100 ლატარიის ბილეთი	30—00
035391	406*)	20 მანეთი	—
035408	465*)	30 მანეთი	—
035414	390*)	100 ლატარიის ბილეთი	30—00
035425	136*)	100 ლატარიის ბილეთი	30—00
035452	244*)	20 მანეთი	—
035463	017*)	30 მანეთი	—
035468	072*)	ყავის ელექტროსაფქვავი	14—00
035471	108*)	20 მანეთი	—
035476	305*)	30 მანეთი	—
035479	274*)	30 მანეთი	—
035485	457*)	100 ლატარიის ბილეთი	30—00
035490	033*)	100 ლატარიის ბილეთი	30—00
035491	166*)	30 მანეთი	—
035512	157*)	20 მანეთი	—
035536	152*)	20 მანეთი	—
035539	188*)	20 მანეთი	—
035544	097*)	25 მანეთი	—
035546	109*)	25 მანეთი	—
035551	359*)	ყავის ელექტროსაფქვავი	14—00
035556	106*)	30 მანეთი	—
035568	147*)	100 ლატარიის ბილეთი	30—00
035574	467*)	20 მანეთი	—
035582	319*)	20 მანეთი	—
035617	291*)	20 მანეთი	—
035628	021*)	მაცივარი „მინსკი"	455—00
035632	139*)	მტვერსასრუტი	25—00
035640	489*)	30 მანეთი	—
035652	368*)	20 მანეთი	—
035660	500*)	ყავის ელექტროსაფქვავი	14—00
035665	065*)	30 მანეთი	—
035669	246*)	20 მანეთი	—
035672	465*)	30 მანეთი	—
035679	450*)	ელექტროხორცსაკეპი	25—00
035686	190*)	20 მანეთი	—
035691	489*)	30 მანეთი	—
035699	102*)	24 მანეთი	—
035700	289*)	20 მანეთი	—
035718	116*)	მტვერსასრუტი	25—00
035722	315*)	100 ლატარიის ბილეთი	30—00
035723	345*)	24 მანეთი	—
035724	299*)	100 ლატარიის ბილეთი	30—00
035738	218*)	20 მანეთი	—
035742	253*	40 მანეთი	—
035751	098*)	20 მანეთი	—
035754	327*)	20 მანეთი	—
035780	274*)	100 ლატარიის ბილეთი	30—00
035785	120*)	50 მანეთი	—
035786	288*)	30 მანეთი	—
035825	486*)	100 ლატარიის ბილეთი	30—00
035841	389*)	50 მანეთი	—
035858	188*)	20 მანეთი	—
035861	418*)	ავტომანქანა „ჟიგული-21063"	9000—00
035878	320*)	30 მანეთი	—
035889	461*)	100 ლატარიის ბილეთი	30—00
035891	423*)	20 მანეთი	—
035892	357*)	ელექტროხორცსაკეპი	25—00
035901	184*)	30 მანეთი	—
035910	251*)	ავტომანქანა „ჟიგული-2108"	8400—00
035921	185*)	მტვერსასრუტი	25—00
035942	281*)	20 მანეთი	—
035952	340*)	20 მანეთი	—
035964	318*)	30 მანეთი	—
035989	090*)	20 მანეთი	—

შენიშვნა: ლატარიის ამ სერიის ბილეთების დანარჩენ 499 ნომერს ხვდა 1 მანეთი მოგება თითოეულს.

მოგება — „100 ლატარიის ბილეთი" გაიცემა მხოლოდ საქართველოს სსრ ფულისა და ნივთების ლატარიის ბილეთებს.

ეს ცხრილი ოფიციალური დოკუმენტია, რომლის მიხედვით ნივთმოგებანი და ფულადი მოგებანი გაიცემა გაზეთის მორიგი ნომრის ადგილზე მიღების შემდეგ.

მოგებათა მიღების წესი

1. ლატარიის ბილეთის მფლობელს, რომელსაც ნივთმოგება ხვდა, თავისი სურვილისამებრ შეუძლია მოგებული ნივთის ღირებულება ნაღდ ფულად მიიღოს.

ლატარიის ბილეთის ფულადი მოგება, მიმღების სურვილით, მოგებული ნივთის ნაცვლად 200 მანეთამდე (ჩათვლით) ღირებულება შეგიძლიათ მიიღოთ საქართველოს ნებისმიერი შემნახველი ბანკის დაწესებულებებში, 200 მანეთზე მეტ მოგებას 1100 მანეთის ჩათვლით გასცემენ შემნახველი ბანკის განყოფილებები და მათი ფილიალები, სადაც ორი და მეტი თანამშრომელია.

2. მოგებულ ნივთებს ლატარიის ბილეთების მფლობელთ აძლევენ ან უგზავნიან მხოლოდ ქ. თბილისის მაღაზიები.

მოგებახვედრილი ლატარიის ბილეთებით ყველა მარკის ავტომანქანების გაცემა წარმოებს ქ. თბილისში.

ლატარიის ბილეთები იმ მოგებებით, რომლებიც ქ. თბილისის მაღაზიების მეშვეობით უნდა გაიგზავნოს, წარედგინება შემნახველი ბანკის განყოფილებებსა და მათ ფილიალებს, სადაც ორი ან მეტი თანამშრომელია. ამასთან ლატარიის ბილეთის მფლობელი აცნობებს გვარს, სახელს, მამის სახელსა და თავისი ბინის ზუსტ მისამართს.

3. მოგებულ ნივთებს მაღაზიები გასცემენ მას შემდეგ, როცა მოგებახვედრილი ლატარიის ბილეთი შემოწმდება შემნახველი ბანკის დაწესებულებებში.

4. თუ ლატარიაში გათამაშებულ ცალკეულ საგნებს წარმოება აღარ უშვებს, საგნის ღირებულება მოგებახვედრილი ლატარიის ბილეთის მფლობელს ნაღდ ფულად მიეცემა.

5. ლატარიის ბილეთები, რომლებსაც მოგება ხვდა, შეგიძლიათ წარადგინოთ გასანაღდებლად ან მოგებული ნივთის მისაღებად 1990 წლის 30 ივნისამდე (ჩათვლით). ამ ვადის გასვლის შემდეგ ლატარიის ბილეთი ძალას კარგავს და გასანაღდებლად აღარ მიიღება.

შენიშვნა: სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში მოწყობილი ფულისა და ნივთების ლატარიის ბილეთების მფლობელთ შეუძლიათ თავიანთი ბილეთები შეამოწმონ მოგებათა ცხრილებით და მიიღონ ფულადი მოგება ან ფული მოგებული ნივთის ნაცვლად ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონის, აგრეთვე ქალაქების — სოხუმის, ბათუმის, ცხინვალის, გორის, რუსთავის, ქუთაისის, ზუგდიდის, ფოთის, წყალტუბოსა და გაგრის შემნახველი ბანკის განყოფილებებში.

ლატარიის ბილეთების შემოწმება შეიძლება აგრეთვე ქ. თბილისის ყველა შემნახველი ბანკის განყოფილებებში, აგრეთვე სხვა დიდი ქალაქების შემნახველი ბანკის განყოფილებებში.

კომისიის თავმჯდომარე — ქ. ქუთაისის ავტოსაქარხნო რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე — ნ. შ. ნაცვლიშვილი.

თავმჯდომარის მოადგილე — საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს ფინანსებისა და საფინანსო მექანიზმის სრულყოფის განყოფილების ფულის მიმოქცევის ქვეგანყოფილების წამყვანი ეკონომისტი თ. ვ. ფანოზიშვილი.

თავმჯდომარის მოადგილე — ქ. ქუთაისის ავტოქარხნის რაიონის შემნახველი ბანკის მმართველი — თ. ა. ჯიგლაძე.

პასუხისმგებელი მდივანი — სსრკ შემნახველი ბანკის საქართველოს რესპუბლიკური ბანკის სესხების, ლატარიისა და ფასიანი ქაღალდების სამმართველოს მთავარი ეკონომისტი — ზ. ვ. ჩიტალაძე.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 60434 უე 07122 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14